# სარბიელი

სპორტული გაზეთი  გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან  პარასკევი, 4 სექტემბერი 1998 №157 (692) ფასი 40 თეთრი


# ალბანელებმა, რაც გინახავთ, ვეღარ ნახავთო

## თანაც ჩვენი ნაკრების შავი კატასავით ეშინიათ


კობა ინასარიძე
სოსო კოტორეიშვილი


გუშინ ოთხ საათზე ალბანეთის ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებები ჟურნალისტთა ამქართან ერთად ტირანადან ჩარტერული რეისით თბილისს ჩამოფრინდნენ და უმალ ცნობისმოყვარე ქართველ კალმოსანთა გარემოცვაში აღმოჩნდნენ. მართალი გითხრათ, თვალი შევავლე თუ არა ალბანელ ფეხბურთელებს, ერთი პირობა ვიფიქრე, ხომ არაფერი მეშლება, თბილისში რომელიმე ქვეყნის კალათბურთელები ხომ არ ჩამოსულან-მეთქი, ისეთი მაღლები და ჯანიანები მეჩვენნენ ჩვენებურთა მეტოქენი. ალბანელთა დელეგაციაში ნაცნობ კოლეგას, ტირანული „ექსპრეს სპორტის“ მთავარი რედაქტორის მოადგილეს, ტირანას „პარტიზანის“ ყოფილ მეკარეს მიკელე ჯანკუს მოვკარით თვალი, მანაც ძალიან გაიხარა ჩვენი დანახვით და ურთიერთმოკითხვის მერე ალბანელთა ნაკრების მთავარ მწვრთნელთან და ფეხბურთელებთან საუბრისას თარჯიმნის როლიც იკისრა, ვიდრე ამ ინტერვიუებს შემოგთავაზებდეთ, ვფიქრობ უპრიანია, თვით მიკელეს მოსაზრებები გაგაცნოთ საქართველო — ალბანეთის მომავალ მატჩზე.

აბა, რა გითხრათ, ნაღვლიანად ჩაილაპარაკა ჯანკუმ, სამჯერ შევხვდით ერთმანეთს, ორჯერ 1996 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში, ერთხელაც მალტის საერთაშორისო ტურნირზე და სამჯერვე ქართველებმა იმარჯვეთ, თუმცა პირველი მატჩი ტირანაში, ალალად გეტყვით, ჩვენებს უნდა მოეგოთ, 1:0 კი გვიგებდით, მაგრამ მეორე ტაიმში ალბანელთა უპირატესობა აშკარა იყო. მაშინ თქვენმა მეკარემ ჩინებულად ითამაშა და სამჯერ კიდევ ძელმაც გიხსნათ. მოკლედ, გოლი ვერაფრით შევაგდეთ და ამ შეხვედრის მერე „ექსპრეს სპორტის“ ფურცლებზე, საქართველოს ნაკრებს ხუმრობით შავი კატა ვუწოდე. ეს წარსულზე, 5 სექტემბრის მატჩს რაც შეეხება, ორიოდ სიტყვით გეტყვით — დღევანდელი ალბანეთის ნაკრები წინანდელისგან ძალიან განსხვავდება, ბევრმა ფეხბურთელმა უცხოეთს, ძირითადად გერმანიის მეორე ბუნდესლიგას მიაშურა და ოსტატობაც საკმაოდ აიმაღლა, მწვრთნელიც ახალი გვყავს, ვფიქრობ, გუნდს ბრძოლა შეუძლია.

ქართველებს რომ ფეხბურთის თამაში არ გესწავლებათ, ეს ჩემზე კარგად იცით, როგორც ვიცი, თქვენთანაც ბევრი ცვლილებაა, ძველებურად ტექნიკურად, სწრაფად თამაშობთ, ამ ბოლო დროს კი ფიზიკურადაც მომძლავრებულხართ. შაბათს ალბათ საინტერესო შეხვედრას ვიხილავთ, როგორც ალბანელი და უბრალო გულშემატკივარი, რა თქმა უნდა, ჩვენებურთა გამარჯვებაზე ვოცნებობ, მაგრამ რეალურად თუ შევადარებთ ქართველთა და ალბანელთა ძალას, უპირატესობა აშკარად თქვენსკენაა, მითუმეტეს, შინ თამაშობთ, თუმც ერთი იცოდეთ, რაც უკვე გითხარით — ჩვენები საბრძოლველად არიან განწყობილნი.

ახლა კი დაპირებული ინტერვიუები, ცხადია, პირველად ალბანელთა მთავარ მწვრთნელს ასტრიტ ჰაფიზს გავესაუბრეთ, მას ამასწინათ „სარბიელისთვის“ მიცემული ინტერვიუ კარგად ახსოვდა. ჰოდა, როცა მაშინდელი სიტყვები გავახსენეთ და დავაყოლეთ, არც თბილისში ჩამოსულებს გეშინიათ ქართველთა ნაკრებისო, აი, ეს გვითხრა:

— შიში რა მოსატანია, რატომ უნდა ვიყოთ მშიშრები?! მართალია, საქართველოს ნაკრებს ერთი დიდი უპირატესობა აქვს, რაც საკუთარი კედლებით გამოიხატება, მაგრამ, სამაგიეროდ, ალბანეთის ნაკრები სადღეისოდ კარგადაა დაკომპლექტებული. უშელავათო მატჩის მოლოდინში ვარ. თუ სასურველ შედეგს მივაღწევთ, მთლად უკეთესი, მაშინ მართლა ბედნიერი ვიქნები.

**— ადრე თქვით, მარცხის გარდა ორივე შედეგი დამაკმაყოფილებსო.**

— აბა, მარცხი რად მინდა? ფრეზეც ყაბულს ვარ. საქართველოს ნაკრებისნაირ გუნდთან სტუმრად ნათამაშევი ფრე ჩვენთვის მართლაც მიღწევა იქნება. მჯერა, ამას მოვახერხებთ.

**— ჩვენეზე ბევრი რამ გეცოდინებათ.**

— რა თქმა უნდა. ადრე ნათამაშევი მატჩების ჩანაწერები უკვე ვნახე. ახლა უკრაინიდან და აზერბაიჯანიდან მივიღე ზოგადი ცნობები თქვენი ფეხბურთელების შესახებ. ამას მალტის ტურნირიც დაუმატეთ, მაგრამ ეს მაინც არ არის საკმარისი საქართველოს გუნდის ბოლომდე გასაცნობად.

იხილეთ მეორე გვერდი



გაჩო კოთოლაშვილის ფოტო

ალბანელთა კაპიტანმა რუდი ვატამ, თბილისში უკვე მეორედ რომაა, ახლა კი ნაღდად მოგიგებთო



გაჩო კოთოლაშვილის ფოტო

ქერა ახმახ იგლი ტარეს და სხვათა გადამკიდე, ალბანელთა ნაკრები ფეხბურთისას კი არა, კალათბურთელებისას უფრო ჰგავს

# ქალები მშვიდად არიან, კაცები კი ანჩხლობენ

US OPEN

სანამ ამერიკის ღია პირველობაზე გათესილი ქალები შესაშური სტაბილურობითა და სიიოლით მიიკვლევენ გზას შემდეგი წრეებისკენ, ფავორიტი კაცების არმადას იმავეს მიღწევა დიდ გაწამაწიად უჯდება. ზოგიერთ მათგანს, მაგალითად, პეტრ კორდას ნაადრევად მოუხდა აბარგება, ზოგიერთს კი, მხნელად მეტოქის ტრავმა ან ნიუ იორკს თავდატეხილი თავსხმა მოევლინა.

კაცები: ანდრე აგასი (8, აშშ) — გილიამ რაუ (საფრანგეთი) 6:3, 6:2, 6:7, (6:8), 3:6, 6:1; ალექს კორეტხა (7, ესპანეთი) — ჯანლუკა პოცი (იტალია) 2:6, 6:3, 7:5, 7:5; გრეგ რუზეცკი (6, ბრიტანეთი) — ბოგდან ულირახი (ჩეხეთი) 4:6, 6:3, 4:6, 6:2, 7:5; კაროლ კუჩერა (9, სლოვაკეთი) — ჯერომ გოლმარი (საფრანგეთი) 7:5, 6:3, 6:0; ქალები: მარტინა ჰინგისი (1, შვეიცარია) — ივა მაიოლი (ხორვატია) 7:6 (7:4), 6:0; ვინუს უილიამსი (5, აშშ) — ანე კრამერი (ლუქსემბურგი) 6:1, 6:3; არანჩა სანჩეს-ვიკარიო (4, ესპანეთი) — ფაბიოლა ზულუგა (კოლუმბია) 6:3, 6:2; ამანდა კუტცერი (13, სამხრეთი აფრიკა) — რალუჩა სანდუ (რუმინეთი) 6:0, 6:2.

იხილეთ მეშვიდე გვერდი



REUTERS ნიუ იორკიდან

ანდრე აგასის ჯერ არაფერი უჭირს



# ვაი, თითო!

თქვა, ალბათ, ჩვენი მეტოქე ნორვეგიის ნაკრებისა და გერმანული „ვერდერის“ მეკარემ ფროდ გროდასმა, გუშინ ლატვიელებთან მატჩისწინა ვარჯიშზე მარჯვენა ხელის თითი რომ მოიტეხა.

გროდასი, ნორვეგიელთა ძირითადი მეკარე რომაა, ხვალინდელ მატჩს ხომ უეჭველად გამოტოვებს და, ეგებ, უახლოეს ერთ-ორ თვესაც იუქმოს.

ჩვენი ერთი მეტოქე მეორეს, რევაზ ძოძუაშვილის ლატვიურ ნაკრებს გერმანულსავე „დუისბურგში“ მოთამაშე კარის დარაჯ ტომას გილის იმედად დაუხვდება.

# ალბანელებმა, რაც გინახავთ, ველარ ნახავთო

## თანაც ჩვენი ნაკრების შავი კატასავით ეშინიათ

დასაწყისი პირველ გვერდზე

**— უძლიერესი შემადგენლობით ჩამოხვედით?**

— კი, ტრავმირებული არავინაა.

**— პრობლემები არ გაქვთ?**

— პრობლემები ვის არ აქვს, მაგრამ უსაშველო არაფერია.

**— კვიპროსთან მატჩისას ნაკრეში საიმედო ფეხბურთელი არ გყავდათ.**

— მერე რა? კვიპროსზე რომ არ იყვნენ, სამაგიეროდ, თბილისში არიან. მათი შესაძლებლობები კარგად ვიცოდი, ამიტომაც სხვები გამოვცადე.

**— ნაკრებში მაჯუნი დააბრუნეთ.**

— მისი დიდი იმედი მაქვს. ექვსი წელია, ეროვნულ გუნდში არ უთამაშია და ახლა გამოვიძახე. გერმანულ „ზანქტ პაულში" თამაშობს, მეორე ბუნდესლიგაში. სწრაფია, გონიერი, გარწმუნებთ, ბევრ ხიფათს შეგიქმნით. ის ჩემი იმედია.



ასტრიდ ჰაფიზი



არტურ მაჯუნი

**— თუ ჩვენებმა მისცეს ამის საშუალება.**

— მთავარი სწორედ ეგაა. თქვენებიც ძლიერები არიან,. მაგრამ ხომ გითხარით, ჩვენ დათმობას არ ვაპირებთ, არც მოგებაზე ვიტყვი უარს, ვნახოთ...

ჰაფიზის მერე თავად *არტურ მაჯუნი* მოვიხელთეთ. მოიცა, მოიცა, არ დამიჭირონ, ჩანთას საიმედო ადგილას დავდებო, ისე თქვა, გეგონებოდათ, ომიანი ალბანეთიდან ბომბები ჩამოეტანოს, თუმცა ვინ იცის, ჰაფაზისა არ იყოს, ეგებ თავად იყოს ბომბი.

— საქართველოსთან მეოთხედ გვიწევს თამაში და ასე თუ ისე თქვენებზე წარმოდგენა გვაქვს. საკმაოდ გამოცდილებიც ვართ. ნაკრების თითქმის ყველა წევრი ძლიერ ევროპულ ქვეყნებში თამაშობს. მართალია, არც მთლად ძლიერ კლუბებში, მაგრამ მთავარი ხომ ფეხბურთის დონეა. აი, მე მაგალითად, გერმანიაში ბევრი ვისწავლე.

**— მატჩის პროგნოზს იტყვი?**

— არა, არ მიყვარს. ისე კი, ნუ გგონიათ, რამე დაგითმოთ, თუ დარწმუნებული ბრძანდებით გამარჯვებაში, ჩვენთვის უკეთესია, მეტ შეცდომებს დაუშვებთ.

ალბანელთა კაპიტანსა და ცენტრალურ მცველს *რუდი ვატას* თბილისში ჩამოსვლა მეორედ მოუხდა და... დაახლოებით ხუთი წუთი ენა არ გაუჩერებია, ძალიან ენაწყლიანი ყოფილა, ბოლოს კი ისიც გვითხრა, 5 სექტემბერი ქართველებისთვის ნამეტანი ცუდი დღე იქნებაო.

— თქვენთან შესახვედრად სერიოზულად მოვემზადეთ და კარგი შედეგის იმედიც გვაქვს. გვეყოფა ქართველებთან სამჯერ წაგება. ოპტიმისტურად ვარ განწყობილი. ვიმედოვნებ, ხუთში ჩვენთვის კარგი დილა გათენდება, თქვენ კი ცუდ ხასიათზე იქნებით. სადღეისოდ ალბანეთს ძლიერი ნაკრები ჰყავს. პატარა, გამოუცდელი ბავშვებივით ნუ გვიყურებთ.

**— გვემუქრებით?**

— კი არ გემუქრებით, ალბათ ასეც იქნება. პროგნოზს ვერ გეტყვით, მატჩის მერე ვილაპარაკოთ.

თავდამსხმელ *ალტინ რაკლის* კი გოლის უეჭველად გატანის იმედი აქვს. სულ გაგვაქვს, რაღა თბილისში გვიმტყუნებს ფეხებიო.

— ნაკრების თამაში სასიკეთოდ შეიცვალა. შარშანდელთან შედარებაც არ შეიძლება. მართალია, დაცვაში პრობლემები გვაქვს, რაც ჩვენს მიერ გატანილ გოლებს აქარწყალებს, მაგრამ, მჯერა, ჰაფაზი ისეთ შემადგენლობას შეარჩევს, რომელიც ქართველებს დაგვაჯაბნინებს. გონიერი დაცვა გოლს არ გაუშვებს, თუნდ შოთა არველაძე უტევდეს, თუნდაც ქინქლაძე. ჩვენ კი, ალბათ, გაგიტანთ.

ჩვენს გასაკვირად რატომღაც *იგლი ტარეც* ერთი შეხედვით დაგვემუქრა. რისი იმედი აქვთ, თავად იციან, მაგრამ ფაქტია...

— მობილიზაციას გავაკეთებთ, ძალებს მოვიკრებთ და ღირსეულად დაგიპირისპირდებით. თბილისში ჩვენთვის სასურველი შედეგის მისაღწევად ჩამოვედით. ვიცი, ძალიან ძლიერი, ტექნიკური გუნდი გყავთ, მაგრამ, აბა, ჩვენთვის ეს რა



რუდი ვატა

ნუგეშია? ალბათ ღმერთიც გადმოგვხედავს და შინ გახარებულები გავბრუნდებით.

აი, ასე. არწივები გვემუქრებიან. ჩვენებიც იმედიანად არიან, მაგრამ ბოლო დროს პრობლემებიც რომ მოგვეძალა, ფაქტია. თანაც ნუ დაგავიწყდებათ, საქართველოს ნაკრებმა პირველი ოფიციალური მოლდოველებთანაც წააგო თავის დროზე, მერე, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ჯგუფის სადებიუტო თამაშშიც დამარცხდა პერუჯაში, იტალიელებთან და ახლა მესამე მატჩი გველის. თუმცა რა გველის, ესეც საკითხავია. ნურც ამგვარი არითმეტიკული პროგრესია დაგავიწყდებათ: 14 დეკემბერი, 1994 წელი, ტირანა, „ქემალ სტაფა". ალბანეთი — საქართველო 0:1, 26 აპრილი, 1995 წელი, თბილისი, ეროვნული სტადიონი: საქართველო — ალბანეთი 2:0, 8 თებერვალი, 1998 წელი, ლა ვალეტა, „ტა ქალი": საქართველო — ალბანეთი 3:0. დიახ, ჯერ 1:0 ვძლიეთ ხვალინდელ მეტოქეს, მერე 2:0, 3:0... ხვალ 4:0? ამას რა სჯობს.

# არწივებს საწოლები ეპატარავათ

ჯერ არ ჩამოსულან ალბანელები თბილისში და უკვე მოასწრეს დავიდარებისა და ვაი-უშველებელის ატეხვა. ასეთი რა მოხდაო, იკითხავს დაინტერესებული მკითხველი, სულ ახლახან არ გვესტუმრნენო?

საქმე შემდეგშია: როგორც რიგიან და სტუმართმოყვარე მასპინძლებს სჩვევი-



ბუნტისთავი ქერა ალბანელი იგლი ტარე

ათ, ლამის ნახევარი სფფ აეროპორტში დახვდა ალბანელთა დაახლოებით 60-კაციან დელეგაციას, მიკითხვა-მოკითხვისა და ტრადიციული ცერემონიული რამე-რუმეების შემდეგ მასპინძლებმა სტუმრები ერთერთი კერძო სასტუმროს („ოდა" რომ ჰქვია) გზას გაუყენეს. ალბანელთა დელეგაციის ხელმძღვანელობა ნამეტნავად კმაყოფილი დარჩენილა „ოდის" დიზაინითა და ინტერიერით, მადლიერებაც გამოუთქვამთ და ლუქს-ოთახებშიც დანაწილებულან ჩვენი სტუმრები. მოსახდენი ამის მერე მოხდა — ალბანელი ფეხბურთელების ერთი ჯგუფი თავიანთ ხელმძღვანელობას „ჩაუხტა" და ადგილსამყოფელის შეცვლა მოსთხოვა, ბრწყინვალე სასტუმრო აქვთ, იქ წაგვიყვანეთო. მიზეზს არ იკითხავთ? — ტარე და ძმანი მისნი... საწოლებში ვერ გამართულან. სფფ-ს ერთ-ერთი ჩინოსნის მოსწრებული თქმით — ეთქვათ, ბატონო, კალათბურთელები თუ მოჰყავდათ და თადარიგსაც წინასწარ დავიჭერდითო. ასე იყო თუ ისე, ქართველებმა ჩვეულ სტუმართმოყვარეობას არ უღალატეს და განსაკუთრებით გრძელი ალბანელები მრავლისმნახველ „შერატონ პალასში" გადააბრძანეს. შედარებით მოკლე სტუმრები კი სასტუმრო „მესაზღვრეს" აწვიეს.

ხელახალმა დაბინავებამ უეჭველად თავისი დრო წაიღო, მაგრამ „ისნის" სტა-

თანაც კატეგორიულად: თქვენ რომ ლუქსებში ნებივრობთ, ჩვენ რა დავაშავეთო. განსაკუთრებით თურმე ყველაზე (და ვგონებ ერთადერთიც) ქერა (თეთრი უფრო სწორად) ალბანელი, დიუსელდორფის „ფორტუნაში" მოთამაშე ტარე და თბილისში ადრეც ნამყოფი ფეხბურთელები აქტიურობდნენ. ამათ ძველ თბილისში

დიონს ალბანეთის ეროვნული ნაკრები მაინც დროულად, შვიდის ნახევარზე ეწვია. თან იქაური ჟურნალისტებიც მოჰყვნენ არწივებს. მართალი გითხრათ, ჩვენს სტუმრებს არაფერი ეტყობოდათ ზედმეტი ნერვიულობის ან გადაღლილობისა, სიცილ-ხარხარით შევიდნენ გასახდელებში და მერე ვარჯიშის დროსაც ბევრს ლაღობდნენ. განსაკუთრებით ყველაზე გრძელი და თეთრი „არწივი" ტარე იყო ხასიათზე, ლაპარაკითაც სხვებზე მეტს ლაპარაკობდა, ყველაზე წინაც მიძუნძულებდა და არც ნაჩხუბარისა ეცხო რამე. ლაღობა ლაღობად და ალბანელთა გუშინდელ ღლაბუცს ვარჯიშს ძნელად თუ უწოდებ კაცი. ჯერ იყო და გულისგამაწვრილებელი ზოზინით დაარტყეს რამდენიმე წრე, მერე კვადრატიც ასევე უჯიგროდ გაათამაშეს და ბოლოს მეკარეებს რომ ურტყამდნენ ჩამოაბნელდათ კიდეც.

ვარჯიში ასე გვიან ალბათ იმიტომაც გამართეს, რომ ხვალინდელი თამაშის დაწყების დროისთვის დაემთხვიათ.

ბურთი ჩაკურატებულმა ალბანელმა ჟურნალისტებმაც გააგორეს „ისანზე" და, უნდა ითქვას, მშვენივრადაც ირჯებოდნენ ჩვენი კოლეგები.

სულ ეს იყო, რაც ალბანელების ჩამოსვლას მოჰყვა. ხვალე წინაა და ალბათ მოსაყოლიც გაგვიჩნდება რამე. მით უმეტეს, ქართველი თარჯიმანი ქალების თქმით, თუ ფეხბურთში არა, პრეტენზიულობასა და სკანდალის სიყვარულში ნამდვილად ჩემპიონები ყოფილან ჩვენი სტუმრები.

ერთიც — ალბანეთის დელეგაციის თითქმის ყოველი მეორე წევრი სულ გორის და სტალინის ხსენებაშია, ისიც კი გვკითხეს, რატომ ქალაქში დიდი ბელადის ძეგლი არსად გიდგდათო. ერთი სიტყვით, ფეხბურთზე მეტად სტალინის მუზეუმი აინტერესებს ამ ხალხს და ნურც ჩვენ დავწყვეტთ გულს — მოვუწყოთ ერთი ექსკურსია.

და კიდევ. დღევანდელი მატჩზე უეფას იუგოსლავი მსაჯები ჰყავდა მოვლენილი, მაგრამ მერე ბოლიში შემოთვალეს, პოლიტიკური სიტუაცია ველარ გავითვალისწინეთ, ამიტომაც ახალგაზრდების თამაშს ჩრდილოირლანდიელები იმსაჯებენო. ისე, ადვილი წარმოსადგენია დღეს რომ იუგოსლავთ ემსაჯათ კოსოვოს ბოლმით არწივებს რა დღეში ჩააგდებდნენ...

**კონსტანტინე გოგიშვილი**

# ახალგაზრდები გამოცდილებას იძენენ, თუმც თბილისში არც მთლად უამბიციოდ ჩამოსულან

# სტალინთან ყველა ტყვისო

გუშინ ეროვნულ სტადიონზე ალბანეთის ახალგაზრდულმა ნაკრებმა მსუბუქად წაივარჯიშა. ალბანელები მშვენიერ ხასიათზე იყვნენ და ვარჯიშიც შესაბამისად მხიარულ ნოტაზე მოილიეს. ისინი ძირითადად მოკლე გადაცემებითა და კარში დარტყმებით შემოიფარგლნენ. ერთი რამ შენიშნა, სტუმრებმა ერთსაათიანი. ვარჯიშის დიდი ნაწილი კარში ახლო მანძილიდან დარტყმებს მოანდომეს. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ ისინი დამაგვირგვინებელი დარტყმის კომპონენტს საგანგებოდ ამუშავებდნენ. აი, იმაზე კი ვერაფერს გეტყვით, შეძლებენ თუ არა დღეს ალბანელები ქართველთა საჯარიმოში მსგავს სიტუაციაში მოხვედრას და ვარჯიშზე დამუშავებული დარტყმების შესრულებას. სტუმართა წვრთნას საწყის 15 წუთს გიგლა იმნაძე და რობერტო ლანდიც ესწრებოდნენ. ვარჯიშის დროს ალბანელ ჟურნალისტებს და ნაკრების წარმომადგენლებს გავესაუბრეთ. ისინი მოხიბლულნი იყვნენ თბილისით, ქართველებით და, თქვენ წარმოიდგინეთ, სტადიონითაც. ნაკრების ექიმი ზიდი კობა კი აღტაცებას ვერ მალავდა ქართველებით. მშვენიერი, გულთბილი ხალხი ხართო, გვეუბნებოდა. ოღონდ ერთი დიდი ნაკლი გაქვთ, სტალინს სათანადოდ ვერ აფასებთო. მოგვიანებით ახალგაზრდული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა სულეიმან მემამაც საუბრის დასაწყისში ნიშნის მოგებით გვითხრა, სტალინის მონუმენტები მთელს მსოფლიოში ყველაზე გვიან ალბანეთში ავილეთო. სამშობლოში დაბრუნებამდე დიდი სურვილი მაქვს, გორში წავიდე და ამ დიდი პიროვნების ხსოვნას პატივი ვცეო. ამის შემდეგ ალბანელთა თავკაცმა ფეხბურთისთვისაც მოიცალა და ჩვენს რამოდენიმე შეკითხვას უპასუხა.

**— მეტოქეზე თუ ფლობთ რაიმე ინფორმაციას?**

— თითქმის არავთარს. ვიცი, რომ ზოგიერთი თქვენი ფეხბურთელი ევროპის სხვადასხვა ქვეყნის კლუბებში ასპარეზობს. აი, ერთად კი რისი გაკეთება შეუძლიათ, ამაზე წარმოდგენაც არა მაქვს.

**— თქვენს ნაკრებზე რას იტყოდით, რა შედეგის მიღწევა შეგიძლიათ შესარჩევი ტურნირის პირველ მატჩში?**

— თავს არ ვიტყუებ. რეალისტი გახლავართ. ჩვენი ძირითადი მიზანი გამოცდილების მიღებაა. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ჩვენი ნაკრები არსებობის სულ რაღაც სამ წელს ითვლის და ყველა ფეხბურთელი ეროვნულ ჩემპიონატში ასპარეზობს. თუმცა უბრძოლველად არაფერს დავთმობთ.

ნაკრების დებიუტანტი ნახევარმცველი ბლედარ მანკო უფრო იმედიანად იყო განწყობილი:

— ის ფაქტი, რომ მეტოქეზე არაფერი ვიცით, ჩვენზე გარკვეულწილად დადებითად მოქმედებს. ეს ფეხბურთია და შეიძლება, გაჯობოთ კიდეც, ამაში წარმოუდგენელს ვერაფერს ვხედავ. ბოლომდე ვიბრძოლებთ.

მოკლედ, რა ძალუძთ ალბანელებს, დღეს გამოჩნდება. დასასრულს კი იმას გეტყვით, რომ სტუმრებმა თბილისში გამგზავრებამდე ამხანგური მატჩი გამართეს შინ ჩერნოგორიის ნაკრებთან და 4:1 გაიმარჯვეს.

**პაატა ძვანტალიანი**

# ლანდის სიდნეი ელანდება

## ჩვენ კი, ქვებს თუ ვჭამთ, მაკარონიც დავაყოლოთ

მინდორზე მობურთალთ ერთხან შეცბუნებულნი გავცქეროდით. ერთ მხარეს ჩვენი ახალგაზრდული ნაკრების ფორმაში გამოწყობილი ივენნენ, მეორე გუნდის წევრებს კი ფოტორეპორტიორთა ჟილეტები გადაეცვათ. ამ ხელობის ხალხთა კვალობაზე ფეხბურთს საკმაოდ კარგად თამაშობდნენ, მაგრამ უკეთ რომ დავაკვირდით, მათში ჩვენი კოლეგები კი არა, ისევ ახალგაზრდული ნაკრების წევრები ამოვიცანით. რობერტო ლანდიც მათთან ერთად ალმა-დალმა დარბოდა.

ამ იტალიელს კარგა გვარიანად შეუტოპია. რობერტო ლანდიმ მოგახსენებთ. კაცი საქართველოს ფეხბურთელთა ახალგაზრდული, ივივე ოლიმპიური ნაკრების მთავარი მწვრთნელის კონსულტანტად მოუწვევიათ, ის კი ამას არ სჯერდება და, როგორც „სარდილის" მეთაურმა ციცის, ჩვენებურებს თავადვე ავარჯიშებს. ჩვენი გუნდის მადგენლობასაც ის განსაზღვრავს, ოღონდ ისე კი არა, როგორც გუნდის მოელანდება, არამედ საქართველოს ნაკრების ოფიციალური მთავარი მწვრთნელის გოგლა იმნაძესთან და გუნდის სხვა ადმინისტრაციასთან კონსულტაციების მერე.

ლანდი უფრო შორსაც წასულა — გუნდის წევრებისთვის კატლეტისა და კიდევ რაღაც-რაღაცეების ჭამა აუკრძალავს. ვერ გეტყვით, ჩვენმა ფეხბურთელებმა როგორ აღიქვეს ეს აკრძალვა და ლანდის სხვა რჩევა, მენიუში იტალიური სპაგეტი შეიტანეთ, აი, ოთარ გაბელიას კი ეს ამბავი შეუცხადებია და აკი ჩვენს სიცილით გეთხრა გუშინ, „ისნის" სტადიონზე მისული, „მაკარონიჭამია" იტალიელების თუ ივენებ ევროპის თასებს, ჩვენ რა, კატლეტისა და ბორშის მჭამელმა ქართველებმა ივივე ვერ მოვახერხეთ 81-ში?"

ისე კი, ჯანდაბას ჩვენი თავი, თუ ამას უბედურების ვჭამთ და ვსვამთ, ჰოდა, თუ სპაგეტი გაგვიყვანს ევროპის პირველობის ფინალში და სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზეც ჩაგვიყვანს, გავამდიდროთ იტალიური ბიუჯეტი. ბოლოს და ბოლოს, „ტოლკო მი, გრუზინი მოჟემ კუშატ კამნი" და ეს მაკარონი რაღა უნდა გაგვიხდეს? თბილისურ წყალში გაჩენილ ამებაზე თუ რაღაც უბედურობაზე მეტს ხომ არ დაგვმართავს?

აი, უბედურება მაშინ იკითხეთ, თუ დღეს ალბანელებთან ვერ მოვიგებთ. მაშინ ამებასა და კატლეტს კი არა, ალბათ ყველაფერი იტალიურ მაკარონსა და მის მოყვარულ რობერტო ლანდის დაბრალდება. აკი ჩვენმა კობა ინასარიძემაც ჩვენ- [illegible]



ჯანო ბაგრატიონი (შუაში) და ემზარ ზენაიშვილი (მარცხნივ), გოგლა იმნაძესთან და რობერტო ლანდისთან ბაასობენ

იტალიამდე. თამაშის მერე შინ მივფრინავ. ალბანელებთან რომ წავაგოთ, გოგლა იმნაძეს სამშობლოდან დავურეკავ"-ო.

ჰა, ამის წაკითხვის მერე თუ კაცს გული არ გაუსკდა, უნდა გავიგოთ მაინც! რა წაგება, რის წაგება?!

რა დროს წაგებაა?! კაცს (ისევ რობერტო ლანდიზე მოგახსენებთ) 2000 წლისთვის ავსტრალიისკენ გასაფრენი ბილეთები დაუჯავშნია. ყოველ შემოხვევაში თავადვე გვითხრა სიცილ-სიცილით,ეს შუახრჩვი შეხვედრები რიხორიხოთი უნდა ჩავთავოთ, სიდნეის ოლიმპიური თამაშების ლიცენზიებიც უნდა მოვიპოვოთ და იქ გასამზადებელი თადარიგი უკვე დავიჭიროო.

— ოღონდ ერთი პირობით, სიდნეიში სასტუმროს ფული თქვენ უნდა გადამიხადოთ! — დაზუსტა რობერტო ლანდიმ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტ ჯანო ბაგრატიონთან საუბრისას.

დაზუსტა და არც ჩვენი ოლიმპიური მოძრაობის სამეთაურებლო დაბნეულა, სიდნეიში თქვენთვის საუკეთესო სასტუმროში საუკეთესო აპარტამენტები უკვე დაჯავშნულია და ფულიც გადახდილიო, რამაც იტუნჯისტის ხასიათზე დამდგარ მოსაუბრეს უფრო გამოიხარუა.

— შესანიშნავია, დიდებულია, ავსტრალიაში არ ვყოფილვარ და მისი მონახულების ასეთ შანსს ხელიდან არ გავუშვებ, — ივიხის რობერტო ლანდი.

— არც მე ვყოფილვარ ავსტრალიაში, ერთად დავათვალიეროთ სიდნეი — მხარს უბამს ჯანო ბაგრატიონი.

— ოღონდ საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის ხარჯზე, — აზუსტებს იტალიელი.

აზუსტებს და ალბათ პასუხსაც ნათელა. ამა, ამ იტალიელს ისიც არ ეფიქრა, რომ ჩვენს გულებს გასამრჯელოს გარეშე ამზადებს და შეკრებებსაც უხასიათ კომფორტის პირობებს უტარებს. თანაც ჯოჯოხეთ კი რომ ამას მომავალშიც პირდება. ეგეც რომ

არ იყოს, ჩვენს ფეხბურთელთა ნაკრებს ვინც ფინალში გაიყვანს, იმას ძველიც უნდა დავუფასოთ და სიდნეიში მოგზაურობა რაღა მოსატანია.

ეს საუბარი გუშინ სწორედ „ისნის" სტადიონზე გაიმართა, როცა ბატონ ჯანო ბაგრატიონთან, სეოკ-ის ვიცეპრეზიდენტ ემზარ ზენაიშვილთან და სპორტულ ფედერაციებთან ურთიერთობის ხელმძღვანელთან თამაზ თევზაძესთან ერთად ჩვენი ახალგაზრდული ოლიმპიური გუნდის წევრებს ვარჯიშზე ვეწვიეთ. ისინი — ადამიანებთან მატჩამდე დასამოდგურებად და გასამხნევებლად, ჩვენ — ამ წერილის მოსამზადებლად.

ეტყობა, ის საუბარი მხიარულ ნოტაზე შემოხვევით არ წარმართულა. როგორც ლანდიმ გვითხრა, იგი გუნდის ფსიქოლოგიურ მომზადებას უდიდეს ყურადღებას უთმობს. ამიტომ, ამ მხრივ გუნდის მომზადება საქმის ოცი პროცენტია.

— ჩვენი დღევანდელი სტუმრობის მიზანიც ეს არის. სეოკ-ის პრეზიდენტი არა მხოლოდ დიდი სპორტსმენი, არამედ დიდი მწვრთნელიც იყო. ოღონდ ფეხბურთში კი არა, ხელბურთში, — აცნობს ჯანო ბაგრატიონს ემზარ ზენაიშვილი იტალიელს.

თავის მხრივ ჯანო ბაგრატიონი ამბობს, ახალგაზრდობაში, როცა ხელბურთის ეთამაშობდა და გუნდის წვრთნას ვინმე გამოცდილი სპორტსმენი მოდიოდა და ორი სიტყვით რაღაცას ჰკარნახობდა, დაკვამდებოდა, ეს თამაშის დაწყებამდე ფრთებს გვასხამდა და სამოტივაციო გაგვახარებდათ.

— დიახ, ასეა. თქვენი მსგავსი პიროვნებების ასეთი სტუმრობიდან დიდ ფსიქოლოგიური მხარდაჭერა ეძლევათ სპორტსმენებს. ეს მათ მეტ ძალას, შემართებას, მონდომებასა და ბრძოლის ჟინს აძლევს. მე ძალიან ბევრს ვმუშაობ მოთამაშეებზე და ფსიქოლოგიურ ფაქტორებზე. მიყვება, რობერტო ლანდის გუნდებიც გაბნევილებით თუ ვიშხელებით, ჩვენი გუნდი ფსიქოლოგიურად ბრძოლისთვის მზად არის.

სხვათა შორის, როცა ბაგრატიონი და ლანდი ერთმანეთს წარუდგინეს, სეოკ-ის პრეზიდენტის გვარის გაგონებაზე რობერტოს რეაქცია წამით ჩაფიქრდა და მერე იკითხა, „ბაგრატიონი... ხაიდან ეს იტალიური წარმოშობის გვარი?"

— იტალიური კი არა, ქართული გვარია, თანაც სამეფო! — განუმარტეს მას.

— ოო, სამეფო გვარი! ჩემთვის ორმაგად დიდი ბედნიერებაა თქვენი გაცნობა, — თქვა თვალებგანწყობილმა რობერტო ლანდიმ და სეოკ-ის პრეზიდენტს კიდევ ერთხელ დიდ მარჯვე ჩამოართვა ხელი.

რობერტო ლანდისა და სამეფო გვარის კაცის, საქართველოს მომავალი მეფის (ედუარდ შევარდნაძის ხუმრობიდან), დღეს კი სეოკ-ის პრეზიდენტის ოხუნჯობანარევ საუბარს ჩვენი ფეხბურთელებიც იქვე მინდორზე წამოკოტრიალებულნი ღიმილით უსმენდნენ.

ავთანდილ გურასაშვილი
ავტორის ფოტოები



ჯანო ბაგრატიონმა ახალგაზრდა ოლიმპიელებს სიდნეის გზა დაულოცა

# გოგლა იმნაძე: მალე იტალიურად ავთამაშდებით



გოგლა იმნაძე

დღეს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირის პირველ შეხვედრას ჩაატარებს ალბანელ თანატოლებთან. შარშანდელთან შედარებით ახალგაზრდათა მეტ-ნაკლებად წარმატებულმა ხელმა გულშემატკივრებს გარკვეული იმედები ჩაუსახა. თანაც ნაკრებში იტალიელი კონსულტანტის მუშაობამ პირველი შედეგებიც მოგვიტანა (თუნდაც უკრაინელ თანატოლებთან ფრედ ნათამაშევი შეხვედრა). მაგრამ ყოველივე ამის ფონზე თავისი დამსახურება არც ნაკრების მთავარ მწვრთნელ გოგლა იმნაძეს დაეკარგება. იმნაძესთან საუბარი ახალგაზრდული ნაკრების დღევანდელი დღით დავიწყეთ.

— იმ სახეს, რომელიც ვლადიმერ გუცაევმა ჩამოუყალიბა ახალგაზრდულ ნაკრებს, გარკვეულწილად დღესაც ინარჩუნებს. ვფიქრობ, უკან დარჩა ის დრო, როდესაც 0:6-ზე ვმარცხდებოდით იტალიელებთან. პირველი ნაბიჯები გადადგმულია თანაც არ დავიწყეთ, ახალგაზრდულ ნაკრებში მუშაობა სპეციფიკურია, რადგან დროის მოკლე მონაკვეთში ხშირია მოთამაშეთა ცვლა. ეს ხომ სრულიად თვალნათლივ ჩანს — დღეს საქართველოს ეროვნულ ნაკრებში ბევრი ფეხბურთელია, რომლებიც ცოტა ხნის წინ ახალგაზრდულ გუნდში ირიცხებოდნენ. ამით იმის თქმა მინდა, რომ დაულალავი მუშაობა და სწორი მიმართულების პოვნაა საჭირო. ვფიქრობ, მიმართულება უკვე ვიპოვეთ.

**— უკრაინის ახალგაზრდულ ნაკრებთან მატჩი გვიჩვენა, რომ ქართველებს გუნდური თამაშიც შეგვძლებია. ეს სასიამოვნო ფაქტორი ნაკრებში იტალიელი კონსულტანტის მოსვლას ხომ არ მივაწეროთ?**

— ამაზე აქამდეც ვისაუბრეთ. ისე, ვეთანხმებით, რომ რობერტო ლანდის მოსვლა სასიკეთოდ წაადგა ნაკრებს. ამ უდიდეს გამოცდილების პიროვნებამ მარტოოდ კარგი სამსახური გაგვიწია და ივი იტალიელია, ძირითადად „იუვენტუსის" სადუბლო სტილის მიმდევარი და მის დამკვიდრებას აქაც ლამობს. ჯერჯერობით ვველაფერი მშვენივრად გამოსდის. ვფიქრობ, ჩვენი ერთობლივი მუშაობა შემდგომშიც გაგრძელდება და სერიოზულ წარმატებებსაც მოგვიტანს.

**— ამაში ევროპის შესარჩევი ციკლის მოგებას ხომ არ გულისხმობთ?**

— წინასწარ ვერაფერს შეგპირდებით. ბერძნებმა და ნორვეგიელებმა წარმატებით ითამაშეს ევროპის ჩემპიონატზე, შესაბამისად მეორე და მესამე ადგილები დაიკავეს. ეს ბევრ რამეზე მიუთითებს. თუმცა მაღალი დონის შემსრულებლები არც ჩვენ გვაკლია. უბრალოდ, საჭიროა, არ გადავუხვიოთ სწორ მიმართულებას და, ვფიქრობ, შედეგებიც არ დააყოვნებს. წუწუნი არ მიყვარს, მაგრამ ელემენტარული პირობები ჩვენთვისაც საჭიროა, სხვანაირად არაფერი გამოვა.

**— ნაკრების მოსამზადებელი პერიოდით კმაყოფილი ხართ?**

— დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ რუსეთის და უკრაინის ნაკრებებთან ჩატარებულ შეხვედრებს, აგრეთვე იტალიაში ამას წინათ მოწყობილ შეკრებას. ამის წყალობით დღევანდელმა ახალგაზრდულმა ნაკრებმა ძალიან ბევრი რამ შეიძინა. მგონი, ყველაფერი ეს სამომავლოდ დიდ სამსახურს გაგვიწევს.

**— ალბანელებთან შეხვედრის წინ გუნდში როგორი განწყობილებაა?**

— მშვენიერი. ბიჭები გაორკეცებული ენერგიით ემზადებოდნენ ამ თამაშისთვის. თანაც, რაც ყველაზე მთავარია, მათ სჯერათ თავიანთი წარმატების და ფსიქოლოგიურადაც შემართულნი არიან.

**— ჭყონდის არყოფნა პრობლემას ხომ არ გიქმნით?**

— გარკვეულწილად. მოგეხსენებათ, იაშვილიც ეროვნულ ნაკრებში თამაშობს, მაგრამ მათი სრულფასოვანი შემცვლელი აუცილებლად ვველაფერს ვინ იქნება იგი, ამას უშუალოდ თამაშის წინ გაიგებთ.

**— რუსეთის ნაკრებთან ამხანაგურ შეხვედრაზე „ქემჩუჟინას" ახალგაზრდა მეკარე დავით ხმელიძეც გყავდათ გამოძახებული და მასზე კარგი წარმოდგენაც გქონდათ...**

— მაშინ ხმელიძეს ტრავმა აწუხებდა და ვერ შევძელით მისი საქმეში ნახვა. უკრაინელებთან შეხვედრის წინაც გამოვიძახეთ, მაგრამ არ ჩამოვიდა. მიზეზი, ვფიქრობ, ისევ ტრავმა იყო. ამიტომ ამ ეტაპზე არ გამოგვიძახია. მისი გამოცდის საშუალება შემდეგაც მოგვეცემა.

**— ზურაბ ბათიაშვილის გამოუძახებლობის მიზეზი რა არის?**

— ამ ეტაპზე სამი მეკარე არ გვჭირდებოდა. საერთო გადაწყვეტილებით სოლოლაშვილი და გაბელია ვარჩიეთ. ზურაბს კი მომავალში აუცილებლად მივცემთ თავის გამოჩენის შესაძლებლობას.

**— ტრავმირებული ხომ არავინ გყავთ?**

— სამწუხაროდ, დავით მუჯირის ტრავმა სერიოზული აღმოჩნდა. და თუ მან ალბანელებთან შეხვედრაში მონაწილეობა ვერ მიიღო, ეს ჩვენთვის უთუოდ დიდი დანაკლისი იქნება.

**— და მაინც, ალბანელებთან პირველ შეხვედრაში გამარჯვებას მშვენიერი განწყობილების მოტანა შეუძლია.**

— რა თქმა უნდა, ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. პროგნოზებისგან თავს შევიკავებ, მაგრამ გულის სიღრმეში ჩვენი წარმატების მჯერა.

ბაატა ძვანტალიანი

# სირცხვილი და თავის მოჭრა

30 აგვისტოს ეროვნული ჩემპიონატის მეოთხე ტურში „ტორპედოსა" და „ბათუმს" შორის ფრედ დასრულებულ მატჩს ქუთაისში მართლაც დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა. გაწბილებულ მასპინძელ ფანთაგან რას არ გაიგონებდით. მაგრამ ამათ მოვეშვათ. „ტორპედოს," თურმე, თეიმურაზ შაშიაშვილის რისხვაც დასტეხია თავს. მას მეორე დღესვე დაუბარებია კლუბის ხელმძღვანელობა და „ტყავი გაუძვრია".

— საუბარი უმკაცრესი იყო, — გვითხრა გუბერნატორის პრეს-მდივანმა მინდია ტურაბელიძემ და საილუსტრაციოდ სტენოგრაფიული ჩანაწერიდან რამდენიმე ფრაგმენტი (თავისსავე კომენტარით) შემოგვთავაზა.

თეიმურაზ შაშიაშვილი: „ათ კაცს უგებდე 3:1 და ფრედ ითამაშო-ამაზე მეტი თავის მოჭრა რა გინდათ?! თქვენ შეურაცხყოფა მიაყენეთ სტადიონზე მოსულ მაყურებელს და, საერთოდ, მთელ ქალაქს. რა პასუხი გავცე მე ხალხს? ეს თამაში მწვრთნელმა წააგო. კარგი ფეხბურთელებიც გვყავს, მათ უნარი შესწევთ ჩემპიონები გახდნენ, მაგრამ რაც მათ „ბათუმთან" გააკეთეს... რცხვენოდეთ გულშემატკივრების... გამუდმებით მირეკავენ ტელეფონზე, ხალხი შეწუხებულია, ეს რა თამაში იყოო. ლამის მლანძღავენ. ვის ახსოვს ამ დროს მწვრთნელი ან მოთამაშე, ყველა აგინებს მხარის და ქალაქის ხელმძღვანელობას. რატომ უნდა ვილანძღებოდეთ თქვენი უსუსური თამაშის გამო. ჩათვალეთ, რომ ეს იყო „შავი დღე" ქუთაისის ფეხბურთის ისტორიაში".

მართალია, „ბათუმი" არ არის სუსტი გუნდი, მაგრამ იმ დღეს „ტორპედო" მეტოქეზე ერთი თავით მაღლა იდგა და მეორე ტაიმში 6-7 ბურთი მაინც უნდა გაეტანა, თამაში კი ფრედ დამთავრდა.

## გუბერნატორმა „ტორპედო" წყალს გაატანა

ამის გამო ქალაქში დადიოდა ხმები, რომ თამაში გაყიდული იყო, თითქოს და „სიგმაბანკი", რომლის მმართველია კლუბის პრეზიდენტი ბესიკ ჯიქია, ფინანსურ კრიზისში იმყოფება და ამით ეძებს გამოსავალს. ეს ბრალდება ჯიქიამ კატეგორიულად უარყო: „ბანკის საქმის მოსაგვარებლად მე შემეძლო ფეხბურთელების გაყიდვა, მიწვევებიც საკმაოდ იყო უცხოურ კლუბებიდან, მაგრამ შევინარჩუნე გუნდი. იმისთვის, რომ ევროთასებზე ვიასპარეზოთ. თამაშის გაყიდვა აზრადაც არ მოგვსვლია".

საკუთარი შეცდომები აღიარა მთავარმა მწვრთნელმა სოსო ფრუიძემ, თანაც დასძინა, რომ საგოლე მომენტების გამოუყენლობა ქართული ფეხბურთის სენია.

მძიმე საუბრის ბოლოს „ტორპედოს" ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ გუნდს სამეულში მოხვედრა აქვს დასახული მიზნად, რასაც თეიმურაზ შაშიაშვილი არ დაეთანხმა: „ჩვენ დღეს საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი გვყავს და ჩემპიონები რომ არ გავხდეთ, ქუთაისელი გულშემატკივარი ამას არ გვაპატიებს. ვისაც არ შეუძლია მუშაობა, სჯობს წავიდეს გუნდიდან".

იუზა ძაციტაძე

**EURO 2000**
**ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი**

## VII ჯგუფი

### რუმინეთი 7:0 ლიხტენშტაინი

1:0 პოპესკუ (18), 2:0 კატალინ მუნტიანუ (30), 3:0, 4:0, 5:0 ილიე (32, 45, 51), 6:0 მოლდოვანი, 7:0 ჰაასი (60 ს.კ.)

რუმინეთი: სტელია (ლობონტი 80), პეტრესკუ, კონტრა, ბატრინუ, გალკა, პოპესკუ, პეტრე, დორინელ მუნტიანუ, მოლდოვანი, კატალინ მუნტიანუ (საბაუ 72), ილიე (მიჰალჩეა 69)

ლიხტენშტაინი: ოეჰრი, რიტერი, ჰანსელმანი, ჰეფტი, ზეჩი, მაიკლ სტოკლასა, ლინგი (ბუჩელი 62), ტელსერი (ენდერი 89), ბეკი, ოელი, ჰაასი (მარტინ სტოკლასა 63)

როგორც მოსალოდნელი იყო, ევრო 2000-ის შესარჩევი ციკლის მე-7 ჯგუფის პირველი მატჩი რუმინეთისა და ლიხტენშტაინის ეროვნულ გუნდებს შორის მასპინძელთა სრული უპირატესობით წარიმართა. რუმინელთაგან ყველაზე გამორჩეული ესპანურ „ვალენსიაში" მოთამაშე ადრიან ილიე იყო, რომელმაც 19 წუთში ჰეთ-თრიქის შესრულება მოახერხა. განსაკუთრებით ლამაზი მისი 20 მეტრიდან უძლიერესი დარტყმით გატანილი მესამე, საერთოდ კი მეხუთე გოლი იყო.

უსუსური ლიხტენშტაინელების განადგურება მე-18 წუთზე მასპინძელთა ლიბერომ, გეორგ პოპესკუმ დაიწყო. მან იმავე ილიეს კარის გასწვრივ ჩაწოდებულს თავი დროულად დაუხვედრა. მატჩის დაწყებიდან ზუსტად ნახევარი საათი იყო გასული, კატალინ მუნტიანუმ მეორედ რომ აიღო ოეჰრის კარი. ამას ზემოხსენებული ილიეს გალაღება მოჰყვა. მეორე ტაიმის დაწყებიდან თერთმეტი წუთი იყო გასული, ვიორელ მოლდოვანმა ანგარიში მთლად სამარცხვინო რომ გახადა, ხოლო სტუმართა მცველმა მოდესტუს ჰაასმა ეგრე არ უნდაო და საკუთარ კარში საკმაოდ მომხიბვლელი გოლი შეაგდო. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ლიხტენშტაინის ნაკრებში საუკეთესოდ გოლკიპერი გაისარჯა. რომ არა იგი, ანგარიში აუცილებლად კალათბურთისა იქნებოდა.

მატჩის შემდეგ რუმინელთა ახალდანიშნული თავკაცი ვიქტორ პიტურკა კმაყოფილებას ვერ მალავდა: „ეს მშვენიერი გავარჯიშება იყო მორიგი, საკმაოდ ბევრის გადამწყვეტი მატჩების წინ, რომლებიც გასვლაზე უნდა გავმართოთ ჩვენს ძირითად მეტოქეებთან, პორტუგალიის და უნგრეთის ნაკრებებთან. გუნდის თამაშით კმაყოფილი ვარ, თუმცა სამუშაო და დასახვეწი ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს".

რუმინეთის ეროვნული გუნდი შაბათს მალტაში ამხანაგურ მატჩს გამართავს გერმანიის ნაკრებთან, ხოლო შემდეგ ჯერ ბუდაპეშტში გაეჯიბრება უნგრელებს, ეს 10 ოქტომბერს მოხდება, ხოლო ოთხი დღის შემდეგ პორტუგალიელებთან მოუწევს ურთიერთობის გარკვევა.



REUTERS ბუქარესტიდან

ადრიან ილიემ (№11) ლიხტენშტაინელი მცველები საშინელ დღეში ჩააგდო

# ფოგტსს დებონომ უშველა

## ამხანაგური მატჩები

### მალტა 1:2 გერმანია

0:1 დებონო (6 ს.კ.), 1:1 ბრინგეტი (26), 1:2 პასლაკი (72)

მალტა: მუსკატი, ტერნერი (გალეა 87), საიდი, დებონო, ჩეტკუტი, ბრინგეტი, ბუსუტილი, ზაჰრა (კარაბოტი 62), კამილერი, აგიუსი (ოგერენდი 69), სუდა (სულტანა 82)

გერმანია: კანი, რემერი, ჰაინრიხი (ტარნატი 46), ბაბელი, ლინკე (პასლაკი 46), ნოვოტნი, ბასლერი (ნოივილი 74), ეფენბერგი, ბაინლიხი, ბირჰოფი (კირსტენი 46), მარშალი (რინკი 64)

მალტელებთან შეხვედრა მსოფლიოს სამგზის ჩემპიონთათვის პირველი იყო საფრანგეთი 98-ის მეოთხედფინალში დებიუტანტ ხორვატებთან სამარცხვინო, 0:3 წაგების შემდეგ. ლა ვალეტაში გერმანელები მოედანზე ახალმა კაპიტანმა, „მილანში" მოთამაშე ოლივერ ბირჰოფმა გაიყვანა. გარდა ამისა, ოთხი წლის შესვენების შემდეგ გუნდში კვლავ გამოჩნდა ნახევარმცველი შტეფან ეფენბერგი, რომელსაც ნაკრების თავკაც ბერტი ფოგტსთან ჰქონდა უთანხმოება.

მართალია, შეხვედრა გერმანელთა ტერიტორიული უპირატესობით წარიმართა, მაგრამ რაიმე ღირსშესანიშნავის შექმნა (ისევე როგორც მსოფლიოს ჩემპიონატზე) მათ ვერც ამ მატჩში მოახერხეს, მით უმეტეს, რომ მათ მეტოქეს ძლიერს ნამდვილად ვერ დაარქმევ. ანგარიში თამაშის დებიუტშივე გაიხსნა, როდესაც მარიო ბასლერის მიერ ჩამოწოდებული კუთხური მასპინძელთა მცველმა დარენ დებონომ მუხლით საკუთარ კარში გადაგზავნა.

მიუხედავად ასეთი შოკისმომგვრელი დასაწყისისა, მალტელი ფეხბურთელები არ დაბნეულან და ფონს გასვლა კონტრშეტევებით გადაწყვიტეს. ერთ-ერთი მათგანი პირველი ტაიმის შუაწელში მრისხანე მეტოქის კარის აღებით დასრულდა — ვეტერანმა გამთამაშებელმა კარმელ ბუსუტილმა ჩინებული გადაცემით მოძებნა ჯო ბრინკატი და ამ უკანასკნელსაც არაფერი დარჩენოდა ანგარიშის გათანაბრების გარდა. იმისათვის, რომ გერმანელებს კიდევ ერთხელ არ ეჭამათ სირცხვილი, მათ 46 წუთი დასჭირდათ. ისინი მიონხენგლადბახის „ბორუსიაში" მოთამაშე მცველმა შტეფან პასლაკმა გადაარჩინა, რომელიც ნაკრებში თავის მესამე მატჩს ატარებდა. სხვათა შორის, გოლი საკმაოდ ლამაზი გამოდგა.

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის პირველ შეხვედრას გერმანელები 10 ოქტომბერს გამართავენ თურქეთში. ხვალ კი ამხანაგურად ლიხტენშტაინის გამანადგურებელ რუმინეთის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდებიან.



REUTERS ლა ვალეტიდან

ოლაფ მარშალი ბევრს ეცადა, მაგრამ მასპინძელთა მცველებს ვერაფერი დააკლო

### იუგოსლავია 1:1 შვეიცარია

1:0 სტანკოვიჩი (51), 1:1 სესა (58)

იუგოსლავია: კრალი, მირკოვიჩი, ჯოროვიჩი, იოკანოვიჩი (ნადი 45), კომლიენოვიჩი (კრისტიან ჯორჯევიჩი 45), სტანკოვიჩი, იუგოვიჩი, კოვაჩევიჩი (მილოშევიჩი 45), მიატოვიჩი (ივიჩი 61), სტოიკოვიჩი (პრედრაგ ჯორჯევიჩი 45), მიჰაილოვიჩი (საველიჩი 38)

შვეიცარია: ჰილფიკერი, ფოგელი, როტენბიულერი, ჰენჩოსი, ვოლფი (ვეგა 70), იაკინი, სესა, ვიკი (ჰაასი 61), სელესტინი (გრასი 45), მიულერი, შაპუიზა

მატჩის პირველმა ნახევარმა მთლიანად შვეიცარიელთა დიდ უპირატესობაში ჩაიარა. მათი მცველები, განსაკუთრებით სტეფან ჰენჩოსი და სტეფან ვოლფი, მასპინძელთა მრისხანე ფორვარდებს დარკო კოვაჩევიჩსა და პრედრაგ მიატოვიჩს ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევდნენ, ხოლო დორტმუნდის „ბორუსიაში" მოთამაშე სტეფან შაპუიზამ პირდაპირ აიკლო ივიცა კრალი. მაგრამ დაიწყო თუ არა მეორე ტაიმი, ნათელი გახდა რომ მასპინძლები მოვლენათა ამგვარ განვითარებას არ შეეგუებოდნენ. მეტად აქტიურად ჩაებნენ თამაშში შეცვლაზე შესული „შტუტგარტის" ნახევარმცველი კრისტიან ჯორჯევიჩი, „ოლიმპიაკოსში" მოთამაშე მისი მოგვარე პრედრაგ ჯორჯევიჩი და ასევე „ოლიმპიაკოსელი" ილია ივიჩი. შეხვედრის 51-ე წუთზე კოვაჩევიჩის შემცვლელმა სავო მილოშევიჩმა მოწინააღმდეგის ორი მცველი ლამაზად ჩამოიშორა და კარის გასწვრივ ჩააწოდა, იქ კი ბურთს „ლაციოში" ახალგადასული ყმაწვილი სტანკოვიჩი დახვდა და თავით თავისი მესამე სანაკრებო გოლი გაიტანა.

სტუმრებმა ანგარიში 7 წუთში გაათანაბრეს, როდესაც მეტად აგრესიული შაპუიზას ცაციათი დაკრული მის თანაგუნდელ მიულერს მოხვდა და დავიდ სესასთან მიგორდა, რომელმაც მატჩის საბოლოო, ლოგიკური ანგარიში დააფიქსირა.

შეხვედრა სერბიის ქალაქ ნისში გაიმართა, იქ, სადაც იუგოსლაველთა ვეტერანმა კაპიტანმა დრაგან სტოიკოვიჩმა საფეხბურთო კარიერა დაიწყო, ხოლო ოთხშაბათს ეროვნულ გუნდში 70-ჯერ ითამაშა.

**დავით ძოვზირიძე**

# მარსელო გულისმწყვეტელი

არგენტინის ნაკრებს მწვრთნელი გამოუჩნდა — მსოფლიოს ორგზის ჩემპიონებს ამიერიდან მარსელო ბიელსა უთავკაცებს. ვინაა იგი? თუმც მანამდე ბიელსას წინამორბედზე მოგახსენებთ.

მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალში წაგების შემდეგ არგენტინა უმწვრთნელოდ დარჩა — გუნდის თავკაცი, სახელმოხვეჭილი დანიელ ალბერტო პასარელა თანამდებობიდან გადადგა, რადგან ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციასთან დადებული კონტრაქტი გუნდის მსოფლიოს ჩემპიონატიდან გამოთიშვისთანავე მწვრთნელის ნაკრებიდან წასვლას ითვალისწინებდა. მეოთხედფინალის ბოლო წუთებში დენის ბერხკამპმა მეორედ შეარხია კარლოს როას კარის ბადე და არგენტინაც 1:2 დამარცხდა. შესაბამისად გათამაშებას გამოეთიშა.

მას შემდეგ თითქმის ორი თვე მიილია. არგენტინის ფეხბურთის ფედერაციაც მაინც და მაინც არ ცდილობდა მწვრთნელობის კანდიდატთა გაცნობაში გარეშე პირები ჩაერია, მაგრამ საბოლოოდ მაინც მოხდა მოსახდენი — ნაკრების მწვრთნელი დასახელდა.

ვინ? მარსელო ბიელსა. ცოტა უცნაურია, არა? ნაკრების მწვრთნელობის ყველაზე რეალურ პრეტენდენტად კარლოს პეკერმანს მიიჩნევდნენ, კაცს, რომელმაც არგენტინის ახალგაზრდული ნაკრები ორჯერ გახადა მსოფლიოს ჩემპიონი. ამ დროს კი ბიელსა...

საინტერესოა, ვინაა იგი. მარსელო ბიელსა გამორჩეული ფეხბურთელი არასდროს ყოფილა. როცა იგი თამაშობდა, ერთადერთი რითაც გამორჩეულა, ეს „ნიუელს ოლდ ბოისის" შემადგენლობაში ოთხი მატჩის ჩატარება ყოფილა. რაც მოთამაშეობისას დააკლდა, ის ბიელსამ მწვრთნელობისას მთლიანად თუ არა, შედარებით მაინც აინაზღაურა — 1990-91 წლების სეზონში „ნიუელს ოლდ ბოისი" არგენტინის ჩემპიონი გახადა, გასულ წელს კი იგივე გაიმეორა „ველეს სარსფილდში" მოღვაწეობისას.

რომ არა ბერხკამპი და ის საბედისწერო გოლი, ეგებ არგენტინელებს მწვრთნელად ახლაც პასარელა ეყოლებოდათ. მარსელო ბიელსაც ახალ სეზონს ქვეყნის ნაკრების თავკაცის რანგში კი არა, ბარსელონის „ესპანიოლის" მწვრთნელად შეხვდებოდა. მართლია, პრიმერა დივიზიონის პირველ ტურში „ესპანიოლმა" მეტოქე სწორედ ბიელსას ხელში ყოფნისას დაამარცხა, მაგრამ ახალი მწვრთნელის გამოძებნა მოუხდება, ბიელსა კი არგენტინას გაემგზავრება.

— ყველანაირად ვეცადეთ, ჩვენი დაშორება რაც შეიძლება უმტკივნეულოდ მომხდარიყო, მაგრამ გულში სინანულის გრძნობა მაინც გვრჩება. მარსელო არგენტინაში გასაშვებად არ გვემეტება, მაგრამ ვითარება ასე მოითხოვს. იგი აუცილებლად უნდა დაბრუნდეს სამშობლოში, ქვეყნის პირველი გუნდის წვრთნა გაცილებით პრესტიჟულია, ვიდრე კლუბისა. ასე რომ, მისი ნაბიჯი სავსებით გამართლებულია, იმედად მხოლოდ ის გვრჩება, რომ ჩვენს შორის ტკბილი ურთიერთობები გაგრძელდება — „ესპანიოლის" პრეზიდენტს დანიელ სანჩეს ლიბრესს ბიელსას კლუბიდან წასვლამ ძლიერ დასწყვიტა გული. ბარსელონელებთან განშორებამ ბიელსაც დაალონა:

— გული მწყდება, „ესპანიოლს" რომ ვტოვებ. თუ მოხდა და აქ კიდევ დავბრუნდი, ხომ კარგი, თუ არა და აქ გატარებული ჩემი ცხოვრების ეს პატარა მონაკვეთი მუდამ ტკბილ მოსაგონარად დარჩება. ძალიან მიყვარს აქაურობა, ხალხი, ვისთანაც ვმუშაობდი. სამწუხაროდ, დაშორება მაინც გვიწევს, თუმცა ჩვენ აუცილებლად შევხვდებით! — ეს იყო და ეს, რაც მარსელო ბიელსამ ბოლო პრესკონფერენციაზე განაცხადა. შემდეგ იგი ადგა და დარბაზს უსიტყვოდ დატოვა.

ახლა, როცა ამ სტრიქონებს კითხულობთ, ბიელსა ეგებ უკვე არგენტინაშია.

**ირაკლი ილუშილი**

## ბელგია

### III ტური

**ანდერლეხტი 1:1 მუსკრონი**
1:0 აარსტი (22), 1:1 ვიდოვიჩი (90)

**სტ. ტრიუდენი 1:1 ბრიუგე**
1:0 ტიპერსი (62 პ), 1:1 ადო (80)

**ლომელი 0:1 ვესტერლო**
0:1 იენსენსი (55)

**სტანდარდი 2:0 გენტი**
1:0 დე კონდე (23), 2:0 ბისკონტი (65)
სტანდარდი: რუნიე, აფოლაბი, ბილიჩი, რაინერი, რემაკლე, ტიასი, ერნსტი, ბისკონტი (გოდფროიდი 84), პელდერმანსი (ბლეი 46), დე კონდე (ჯაკობია 88), ალიაი

**ლიერსი 5:1 კორტრიკი**
0:1 მეერტი (8), 1:1 ვან მეირი (30), 2:1 სომერსი (31), 3:1, 4:1, 5:1 ჰაისმანსი (78, 88, 90)

**ჰარელბეკი 1:1 ბევერენი**
1:0 ვერპოენი (59), 1:1 ტორკენი (85)

**ლოკერენი 3:1 შარლერუა**
1:0 პენიჩკა (3), 2:0 კოლერი (5), 2:1 ვან დენდერი (30ს.კ), 3:1 ვან გენუგდენი (50)

**აალსტი 5:0 ეკერენი**
1:0 ლასენი (23), 2:0 კორემანი (38), 3:0 ვან დერ ჰაიდენი (73), 4:0 დე ოლივეირა (76), 5:0 ურბანი (82)

**ოსტენდე — გენკი**
**23 სექტემბერს გაიმართება**

პირველ ორ ტურში წარუმატებელი გამოსვლის შემდეგ არავის ეგონა, ბრიუსელის „ანდერლეხტი" ისევ ცუდად თუ ითამაშებდა და მეოთხე ტურს მოგებების გრაფაში მისთვის საკმაოდ უჩვეულო და დამამცირებული ნოლიანით შეხვდებოდა.

არადა, „მუსკრონთან" შეხვედრის დასაწყისი დედაქალაქელებს ცუდს არაფერს უქადდათ. მათ თავიდანვე ხელთ იგდეს ინიციატივა და მეტოქე საკუთარ კარს მიაჯაჭვეს. მასპინძლებს ორ თამაშში დაუღალავად გაფლანგული ხუთი ცალი 100%-იანი შანსის შემდეგ საკუთარ გულშემატკივართა თვალში რეაბილიტაციის სურვილით იწვოდნენ. „ანდერლეხტის" შეტევებში მაღლა გამოიდო ბერძენი. 22-ე წუთზე აარსტი მოხერხებულად გასცდა ორ მცველს და ლამაზი დარტყმით ანგარიში გახსნა. მასპინძლებს უკან არც ამის შემდეგ დაუხევიათ, მაგრამ „მუსკრონის" მეკარის კიდევ ერთხელ დამწუხრება ვერც შესვენებამდე და ვერც მთელი მეორე ტაიმის განმავლობაში ვეღარ მოახერხეს. ხელსაყრელი მომენტები კი იცოცხლეთ, ბლომად ჰქონდათ. გოლკიპერის საუცხოო თამაშს რომ თავი დავანებოთ, სტუმართა კარი მარტო სამჯერ ძელმა იხსნა.

მოკლედ, მატჩი დასასრულს უახლოვდებოდა და სტადიონზე მისული მაყურებელიც თავიანთი გუნდის მინიმალური ანგარიშით მოგებას შეეგუენ, მაგრამ ბოლო წუთზე ვიდოვიჩის აქტიურობამ თავისი გაიტანა. ამ თავდამსხმელმა ლამაზი ბურთის შეგდებით ბრიუსელელები დაამწუხრა, თავის გუნდს კი სატურნირო ცხრილში მეორე ადგილზე დამკვიდრებაში მიეხმარა.

ქართველების კლუბებზე კი რა შეიძლება ითქვას? ტრავმირებული გელა შეყილაძის არყოფნაში „ლიერსმა" იმარჯვა. ეს გუნდი, როდესაც ჩვენებური მწყობრში იყო და მინდორზეც გადიოდა, კარგი თამაშით ნამდვილად ვერ დაიკვეხნიდა, ახლა კი, თითქოს შეყილაძის დამტვრევას ელოდაო, „ლიერსი" გარდაიქმნა და მასთან სტუმრად ჩასულ ლიგის ახალბედა „კარტრიკს" სულ ბდღვირი აღინა.

თავისი პირველი თამაში ჩაატარა მეორე ქართველმა — ლაშა ჯაკობიამ. მართალია, ლაშამ „სტანდარდის" რიგებში მხოლოდ ორად-ორი წუთი დაჰყო მოედანზე, მაგრამ უმაღლეს ლიგასთან შეჩვევისა და სამომავლო წარმატებებზე ფიქრის თვალსაზრისით მაინც კარგი გამოცდილება მიიღო.

პირველი ქულები დაკარგა ჩემპიონობის უპირველესმა კანდიდატმა „ბრიუგემ". შარშანდელ ოქროსმედალოსნებს სტუმრად „სენტ ტრუიდენთან" ერთობ გაუჭირდათ და შინ უქულოდ დაბრუნებას მატჩის მიწურულსღა გადაურჩნენ.

**ლევან ფერაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკერენი | 3 | 3 | 0 | 0 | 11:1 | 9 |
| მუსკრონი | 3 | 2 | 1 | 0 | 5:1 | 7 |
| ბრიუგე | 3 | 2 | 1 | 0 | 5:2 | 7 |
| სტანდარდი | 3 | 2 | 0 | 1 | 6:2 | 6 |
| ვესტერლო | 3 | 2 | 0 | 1 | 5:4 | 6 |
| ოსტენდე | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| სტ. ტრუიდენი | 3 | 1 | 1 | 1 | 5:4 | 4 |
| ბევერენი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| ჰარელბეკი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| გენტი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:4 | 4 |
| შარლერუა | 3 | 1 | 1 | 1 | 4:5 | 4 |
| გენკი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| ლიერსი | 3 | 1 | 0 | 2 | 7:6 | 3 |
| აალსტი | 3 | 1 | 0 | 2 | 5:5 | 3 |
| ლომელი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:4 | 3 |
| ანდერლეხტი | 3 | 0 | 2 | 1 | 3:4 | 2 |
| ეკერენი | 3 | 0 | 0 | 3 | 1:10 | 0 |
| კორტრიკი | 3 | 0 | 0 | 3 | 1:12 | 0 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| კლასენსი (ბრიუგე) | 4 |
| ჰაისმანსი (ლიერსი) | 3 |
| კინდტნერი (ოსტენდე) | 3 |
| პენიჩკა (ლოკერენი) | 3 |

## ალბანეთი

პირველი ტური: ტირანა — პარტიზანი 2:2; ლაჩი — ტუეტა 2:2; სკენდერბუ — დინამო 2:3; ფლამურტარი — ვლაჟნია 0:0; ბილისი — შკუმბინი 2:0; ლუშნია — ბესა 4:0; ელბასანი — ბურელი 3:1; აპოლონია — ტომორი 0:0.

**გამოსაცდელი ვადით სათანამშრომლოდ ვიწვევთ**

დამკაბადონებლად ვეძებთ სპორტის მცოდნე, მოწესრიგებულ, მარდ, გემოვნებიან მცდეზე ვაჟ სპეციალისტს

მსურველები შეგვეხმიანონ სამშაბათს ან ხუთშაბათს, 13-დან 17 საათამდე

# მაშ ასე

როდოლფო ეჩტმა მთელი ოთხშაბათი ლონდონში გაატარა. იგი ახსნა-განმარტებებით იყო დაკავებული, საზოგადოებრიობას უმტკიცებდა, რომ ევროპული სუპერლიგის მისეული პროექტი მხოლოდ უდიდეს და უმდიდრეს კლუბებს როდი წაადგებათ, იგი მთლიანად ფეხბურთისთვის იქნება სასარგებლო.

ეჩტი 38 წლის ბიზნესმენია, იტალიელი, ბოლო დროს გახმაურებული კომპანიის „მედია პარტნერზის“ ხელმძღვანელი.

— სუპერლიგაში ევროპული ფეხბურთისთვის საშიში აბსოლუტურად არაფერია. პირიქით, ჩვენს პროექტში მხოლოდ სიკეთეა ჩადებული. ესაა გეგმა, რომლის განხორციელების შემთხვევაში წაგებული არავინ დარჩება. მას საფუძვლად ასპროცენტიანი მეატრონეობა უდევს. სუპერლიგის მფლობელები კლუბები იქნებიან, ზუსტად ისე, როგორც პრემიერლიგაშია. პროექტში დაფარული არაფერია, მოგებას კი მართლაც ზღაპრულს მოიტანს, თან ყველა დონეზე. ასე რომ, ნურაფრის შეგვეშინდება — ამბობდა ეჩტი.

ეჩტი ამტკიცებს, რომ სუპერლიგის წევრი გუნდები დაახლოებით სამჯერ მეტ მოგებას ნახავენ, ვიდრე დღევანდელ ჩემპიონთა ლიგაში აქვთ. საწყისი ინვესტიციების ძიება კი არ დაჭირდებათ, იგი გარანტირებულია.

„მედია პარტნერზის“ ხელმძღვანელებმა ამ კვირაში კონტინენტის უდიდეს კლუბებთან საკმაოდ ითათბირეს და ჩამოაყალიბეს სანუკვარი სუპერლიგის მომავალი სტრუქტურა.

სტრუქტურა ასეთია ნავარაუდევი: იარსებებს ლიგის დამფუძნებელი 18 გუნდი ანუ ორით მეტი, ვიდრე სულ დასაწყისში ფიქრობდნენ. ამ გუნდების ვინაობა ბოლო 10 წლის შედეგების მიხედვით გაირკვევა და მათ ლიგაში ადგილი სამი წლით ექნებათ გარანტირებული.

შეირჩევა კიდევ 18 გუნდი (აქაც თავიდან 16-ს აპირებდნენ). მათთვის კრიტერიუმი ბოლო წლის შედეგები იქნება.

ამგვარად, დასახელებული 36 კლუბი დაიყოფა სამ ჯგუფად, თითოეულში 12 წევრით და დაიწყება შეჯიბრება, სადაც ყოველი გუნდი თანაჯგუფელებთან თითო შეხვედრას ჩაატარებს. როდესაც ჯგუფური ეტაპი დამთავრდება, სამივე ჯგუფის ხუთი საუკეთესო, პლუს მეექვსეთაგან უმჯობესი შედეგის მქონე, განაგრძობს ტიტულისთვის ბრძოლას, ოღონდ უკვე პლეი ოფის პრინციპით.

დაგეგმილია მეორეხარისხოვანი შეჯიბრების ჩატარებაც. მას „პრო თასს“ უწოდებენ. „პრო თასზე“ უეფას წევრი 51 ქვეყნის 96 კლუბი გამოვა და თავიდანვე პლეი ოფის წესით შეებმება ერთმანეთს. ხსენებული 51 ქვეყანა „პრო თასზე“ შინაური ჩემპიონატისა და თასის შედეგების მიხედვით მიავლენს მონაწილეებს.

ამ მეორეხარისხოვან შეჯიბრებას ექნება თავისი განთესვა. კერძოდ, 32 გუნდი ყოველგვარი წინასწარი ეტაპისგან თავისუფალი იქნება, ხოლო 64-ს გაყოფენ და საკვალიფიკაციო რაუნდს ათამაშებენ.

ეჩტის თქმით, სუპერლიგისა და „პრო თასის“ შეხვედრები შუა კვირაში გაიმართება, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს ორი შეჯიბრება სულაც არაა ეროვნული პირველობების წინააღმდეგ ჩაფიქრებული.

— ჩვენი სურვილია, ოცნება არ მოვუკლათ ისეთ კლუბებს, როგორიცაა მაგალითად, ინგლისური „უიმბლდონი“. დაე მან იცოდეს, რომ პერსპექტივაში სუპერლიგაში არა მხოლოდ მოხვედრა, არამედ გამარჯვებაც შესაძლებელია. ფინანსური თვალსაზრისითაც ყველა გარანტირებული და კმაყოფილი გვეყოლება, რადგან შემოსავალი მხოლოდ მდიდრებს კი არა, ქვედა ეშელონებსაც გაუნაწილდებათ — განმარტა იტალიელმა ბიზნესმენმა.

ეჩტი ამბობს, რომ ის არ უგულვებელყოფს ფიფასა და უეფას ფაქტორს.

— მათი ნებართვა გვწადია და ვმუშაობთ, რათა იგი მივიღოთ. ჩვენ უეფას რეგულატორის როლი შევთავაზეთ და არ გვესმის, რატომ მივიღეთ უარი. გულწრფელად გეტყვით, გაუგებარია, რად ჰგონია უეფას, რომ შეჯიბრებას მაინცდამაინც თავად უნდა ფლობდეს.

„მედია პარტნერზის“ ბოსმა ამ სიტყვებს მუქარაც დააყოლა, თუ ნებართვას არ მოგვცემენ, ალტერნატიული გზით წავალთო.

უეფამ, როგორც იცით, განაცხადა, რომ სუპერლიგის შექმნაში არათუ მონაწილეობას მიიღებს, არამედ ყოველმხრივ წინ აღუდგება მას და ფეხბურთის თამაშს აუკრძალავს ნებისმიერ გუნდსა თუ მოთამაშეს, რომელიც ლიგაში „გაწევრიანდება“.

ამაზე ეჩტს თავისი პასუხი აქვს: უეფას ასეთი მოქმედება ევროკავშირის წეს-კანონთა საწინააღმდეგოა.

ეჩტის აზრით, ისიც უკანონობაა, დღეს სატელევიზიო ტრანსლაციათა მონოპოლიას და მათი გაყიდვის უფლებას მხოლოდ უეფა რომ ფლობს.

— უეფას ამ მონოპოლიის შესაძენად ერთი გროშიც არ გადაუხდია. ერთი მოლაპარაკებაც არ გაუმართავს ვინმესთან ტელეტრანსლაციათა თემაზე. ჩვენ კი გაცილებით მარტივად მოვიქცევით, ყველა უფლებას წინასწარ, დიდი ხნით მივყიდით მულტი-მედიის რომელიმე გიგანტს, რომელთაგანაც უკვე გვაქვს წინადადებები. თუმცა ფეხბურთის მომავალს მათ სულაც არ გადავაბარებთ. კლუბებსა და ქომაგებს ჩვენი კონტროლის არედან არსად გავუშვებთ. მივაკითხავთ ევროსაბჭოს, საიდანაც მივიღებთ ზოგიერთი ბეგარისგან განთავისუფლების ფურცელს — თქვა ეჩტმა.

მან დასძინა, რომ „მედია პარტნერზმა“ გაუძლო მთელი რიგი უფლებების წინასწარ გაყიდვის ცდუნებას, რადგან ბანკირმა ჯეი პი მორგანმა 3 მილიარდი დოლარის გარანტია მისცა.

— ამ ბანკში აბსოლუტურად დარწმუნებულნი არიან, რომ სესხს ერთი ხელის დაკვრით არ გავანიავებთ, ეს კი საშუალებას გვაძლევს, კლუბებს სუპერლიგის კონტროლი შევთავაზოთ.

„მედია პარტნერზის“ თავკაცი ის ადამიანი გახლავთ, რომელიც იტალიაში საფეხბურთო ტრანსლაციათა ახალ სისტემას, „პეი-პერ-ვიუს“ ნერგავს. ეს სისტემა იმას ნიშნავს, რომ თითოეულ მოქალაქეს ფულის გადახდის შემთხვევაში შეუძლია საკუთარ ტელევიზორში იხილოს მისთვის სასურველი მატჩის ტრანსლაცია ანუ გამოიწეროს ესა თუ ის თამაში. ასეთი ტექნოლოგია ახალ პროექტში უდიდეს როლს ითამაშებს, თუმცა ჯერ კიდევ იქნება უამრავი ადამიანი, ვინც საზოგადო ტელევიზიით ამჯობინებს შეხვედრების ხილვას.

— როგორც სუპერლიგის, ასევე „პრო თასის“ ნახევარფინალთა და ფინალის ხილვა ყველასთვის უფასო იქნება, სხვა მატჩებს კი მათი დამთავრებიდან 30 წუთის შემდეგ დამონტაჟებულს გადავცემთ — თქვა ეჩტმა.

სუპერლიგის დანერგვა 2000-2001 წლების სეზონისთვისაა ნავარაუდევი: „მედია პარტნერზის“ შეფი ამბობს, რომ მანამდე ბევრი რამ შეიძლება შეიცვალოს.

**მიჩ ფილიპსი,**
**როიტერი**

# ბლატერი და ბრიტანელები

ფიფას ახალი პრეზიდენტი, ზეპ ბლატერი ძალიან გაახარა ინგლისის მთავრობისა და ფეხბურთის ასოციაციის გადაწყვეტილებამ, დისკვალიფიკაცია მიუსაჯონ იმ კლუბებსა და ფეხბურთელებს, რომლებიც ევროპული სუპერლიგის შეჯიბრებებში მიიღებენ მონაწილეობას.

ბლატერის რეაქცია განცხადებაში აისახა. იქ წერია: „მივესალმები იმ გარემოებას, რომ ბრიტანეთის მთავრობა და ფეხბურთის ასოციაცია მხარს უჭერენ ფიფასა და უეფას იმ კერძო ორგანიზაციებთან ბრძოლაში, რომლებიც არსებულ შეჯიბრებებს ებრძვიან და მათ სანაცვლოდ ახალთა დანერგვას ლამობენ“.

ფიფას პრეზიდენტი განცხადების გამოქვეყნებამდე შეხვდა ბრიტანეთის სპორტის მინისტრს, ტონი ბენქსსა და ფეხბურთის ასოციაციის აღმასრულებელ შეფს, გრეჰ კელის.

ამავე დღეს პრემიერლიგის წამყვანი კლუბების, „არსენალის“, „მანჩესტერ იუნაიტედის“ და „ლივერპულის“ თავკაცები საპირისპირო ბანაკში თავიანთ გეგმებს სახავდნენ.

ბლატერისა და ბრიტანელ ოფიციალურ პირთა შეხვედრამ თითქმის ერთ საათს გასტანა. საუბარი ბევრ საკითხს შეეხო, რომელთა შორის გახლდათ ინგლისელთა განაცხადი 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობის შესახებ. ფიფას პრეზიდენტმა ბენქსსა და კელის განაცხადის შეტანა-გაფორმების ვადები და პროცედურა გააცნო.

განცხადებაში წერია, რომ მოთათბირეები საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატზე ბილეთების განაწილებასაც შეეხნენ და თქვეს, თუ რა უნდა იღონონ მომავალში იგივე რომ არ განმეორდეს.

ფიფა აპირებს მსოფლიოს პირველობის საორგანიზაციო კომიტეტთან ისეთი ქვეკომიტეტის შექმნას, რომელიც ბილეთების გავრცელებისა და უსაფრთხოების საკითხებს მოაგვარებს.



მას შემდეგ რაც მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში ბრაზილია 0:3 დამარცხდა მასპინძელ ფრანგებთან, მსოფლიოს ორგზის საუკეთესო ფეხბურთელ რონალდოს არსად უთამაშია — სამშობლოში ისვენებდა და თან კოჭის ტრავმას იშუშებდა.

რამდენიმე დღის წინ სამკილომომატებული რონალდო მილანს დაბრუნდა და თანაკლუბელებთან ერთად წვრთნაც განაახლა. ჯერჯერობით ბრაზილიელი თავდამსხმელი ცალკე ივარჯიშებს, მალე კი გუნდსაც შეუერთდება.

რაც შეეხება იმას, თუ როდის გაანახლებს სუპერფორვარდი თამაშს, ეს ალბათ იტალიის თასზე მოხდება — პირველ წრეში „ინტერი“ „ჩეზენას“ უპირისპირდება.

ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე ურონალდო „ინტერმა“ „სკონტო“ ორი მატჩის ჯამში 7:1 დაამარცხა. წარმოგიდგენიათ რას იზამენ მილანელები რონალდოთი!

ეს ისე, ხუმრობით...

# თუ გვეტყვიან წაიდეთო, წავალთ

ყველაფერი გულშემატკივრების გადასაწყვეტია, ისინი იტყვიან რა ქნას „მანჩესტერ სიტიმ“, გადავიდეს ახალ, 50 ათასიან სტადიონზე, ახლა რომ აშენებენ, თუ დარჩეს ქართველებისთვის ასე ნაცნობ „მეინ როუდზე“.

სატადიონს 2002 წლის, ბრიტანეთის თანამეგობრობის თამაშებისთვის აგებენ.

ინგლისის მეორე დივიზიონში ჩავარდნილ, ოდესღაც საკმაოდ ყოჩაღ გუნდს შესთავაზეს, თანამეგობრობის თამაშები რომ დამთავრდება, შენი „მეინ როუდი“ 150 მილიონ დოლარ დახარჯულ ახალ სარბიელში გაცვალეო.

გაზეთმა „მანჩესტერ ივნინგ ნიუზმა“ გამოაქვეყნა „სიტის“ თავმჯდომარის დევიდ ბერნსტაინის სიტყვები.

— სანამ ძველი და ახალი სტადიონების შესახებ რამეს გადავწყვეტთ, ჯერ ჩვენი ქომაგების აზრს გამოვიკითხავთ. თუ მათ ახალ გარემოში გადაბარგება არ მოესურვებათ, „მეინ როუდიდან“ ფეხსაც არ გავადგამთ — განაცხადა ბერნსტაინმა.

1970 წლის თასების თასის მფლობელი, გიორგი ქინქლაძის ყოფილი, ხოლო კახი ცხადაძისა და მურთაზ შელიას ახლანდელი კლუბი „მანჩესტერ სიტი“ 75 წელიწადია „მეინ როუდზე“ თამაშობს.

# ნეკი ნეკისა

ტონი ადამსის და გლენ ჰოდლის ურთიერთკრიტიკის ამბავი ბრიტანეთში ითზე დაიხვიეს. ბოლო ცნობა ასეთია, ადამსს განუცხადებია, ის, რაც ვთქვი, იმიტომ არ მითქვამს, ჰოდლს რომ ეწყინოსო. მოკლედ, 1980-იანი წლების თანაგუნდელები, ახლა კი მოთამაშე და მწვრთნელი ერთმანეთს გვარიანადაც ეფერებიან.

შეგახსენებთ, რომ „არსენალისა“ და ინგლისის ეროვნული ნაკრების მცველმა ტონი ადამსმა რამდენიმე დღის წინ ნაკრებისავე მწვრთნელზე გლენ ჰოდლზე განაცხადა, დიდი შეცდომები დაუშვაო და ბრალი დასდო იმაში, რომ ჰოდლმა მას კაპიტნობა არ ანდო, გალოთებაში ხელი შეუწყო პოლ გესქოინს, რომელიც შემდეგ გუნდიდან მოიშორა და წამყვან ფეხბურთელებს ბავშვებივით ეპყრობოდა.

— ჰოდლს ძალიან დიდ პატივს ვცემ და მისი წყენა სულაც არ მქონდა მიზნად დასახული — უთხრა ადამსმა ჟურნალისტებს — ფეხბურთს თავი რომ დავანებოთ, ის უბრალოდ დიდებული კაცია. ჩვენი ურთიერთობა ყოველთვის ჩინებული იყო და ასევეა ახლაც. რაც შეეხება წიგნს, რომელიც გლენმა დაწერა, მასზე უბრალოდ აზრის გამოთქმა მომინდა. სხვათა შორის, ამ წიგნში უამრავი ისეთი რამ წერია, ავტორზე დადებითად რომ მეტყველებს, ხალხმა კი რატომღაც მხოლოდ უარყოფითზე გაამახვილა ყურადღება.

ადამსი და ჰოდლი ბიშემბიში, ნაკრების ბაზაზე გამართული პრესკონფერენციის დროს გვერდიგვერდ ისხდნენ.

ბაშათს ინგლისის ეროვნული გუნდი სტოკჰოლმში შვედეთს ევრო 2000-ის პირველ შესარჩევ შეხვედრაში დაუპირისპირდება.

# ის არ მომკვდარა



REUTERS

რონალდინიოსთან (მარცხნივ) და „გრემიოსთან“ ჩილელებმა ვერაფერი გააწყეს

სანამ ევროპელები სუპერლიგის შექმნის პროექტებს აგვარებენ და იხილავენ, ატლანტ-ის ოკეანისგაღმა, კონმებოლმა (სამხრეთ ამერიკის ფეხბურთის კონფედერაცია) ორგანიზება გაუწია კონტინენტის საუკეთესო კლუბების შეჯიბრებას, რომელსაც „კოპა მერკოსური“ უწოდა.

წინა ორი დღის მანძილზე ამ გათამაშების მესამე ტური ჩატარდა, რომელიც ბრაზილიური „გრემიოსთვის“ იღბლიანი გამოდგა. გუნდი, რომელიც 1995 წელს ლიბერტადორესის თასს დაეუფლა და საკონტინენტთაშორისო თასისთვის ბრძოლაში მხოლოდ პენალტების სერიაში დამარცხდა „აიაქსთან“, მაისის შემდეგ კრიზისში გახლდათ. გაზაფხულიდან მოყოლებული „გრემიომ“ ორი მწვრთნელი გამოიცვალა, გამოეთიშა ლიბერტადორესის თასის გათამაშებას, ბრაზილიის ჩემპიონატის ფსკერზე დაეშვა, საერთო ჯამში ზედიზედ 14 მოუგებელი მატჩისგან შემდგარი გზაც გაიარა, ახლა კი ნავსი გატეხა და დიდი ხნის ნანატრი გამარჯვება მოიპოვა.

„გრემიოს“ ჯგუფში პირველი ორი შეხვედრა წაეგო, ჩილეს „უნივერსიდად კატოლიკა“ კი მისთვის იოლი ლუკმა გამოდგა. ანგარიში 5:1 თავისთავად მიუთითებს იმ დიდ უპირატესობაზე რაც ბრაზილიელებს მეტოქესთან მატჩში ჰქონდათ. თუნდაც ის რად ღირს რომ „გრემიო“ უკვე პირველ ტაიმში 4:0 იგებდა.

ამ გამარჯვებით „გრემიომ“ გარკვეულწილად შეინარჩუნა ჯგუფიდან გასვლის შანსები, თუმცა რაც იზამენ საბოლოოდ ისინი, ახლა, გათამაშების პირველი ეტაპის შუაში ძნელი სათქმელია.

სატურნირო მდგომარეობა დღეისთვის ასეთია:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **A ჯგუფი** | | | | | | |
| სან ლორენსო (არგენტინა) | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 6 |
| კრუზეირო (ბრაზილია) | 2 | 1 | 0 | 1 | 6:3 | 3 |
| სან პაულუ (ბრაზილია) | 2 | 1 | 0 | 1 | 2:5 | 3 |
| კოლო კოლო (ჩილე) | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | 0 |
| **B ჯგუფი** | | | | | | |
| ინდეპენდიენტე 4:3 ნასიონალი | | | | | | |
| უნივერსიდად დე ჩილე 1:2 პალმეირასი | | | | | | |
| პალმეირასი (ბრაზილია) | 3 | 3 | 0 | 0 | 9:2 | 9 |
| უნივერსიდად დე ჩილე (ჩილე) | 3 | 1 | 0 | 2 | 4:3 | 3 |
| ნასიონალი (ურუგვაი) | 3 | 1 | 0 | 2 | 4:9 | 3 |
| ინდეპენდიენტე (არგენტინა) | 3 | 1 | 0 | 2 | 5:8 | 3 |
| **C ჯგუფი** | | | | | | |
| კორინტიანსი 1:1 პენიაროლი | | | | | | |
| რასინგი 1:0 ოლიმპია | | | | | | |
| რასინგი (არგენტინა) | 3 | 2 | 1 | 0 | 4:2 | 7 |
| ოლიმპია (პარაგვაი) | 3 | 1 | 1 | 1 | 6:5 | 4 |
| კორინტიანსი (ბრაზილია) | 3 | 0 | 2 | 1 | 4:5 | 2 |
| პენიაროლი (ურუგვაი) | 3 | 0 | 2 | 1 | 4:6 | 2 |
| **D ჯგუფი** | | | | | | |
| ფლამენგო 0:2 ბოკა ხუნიორსი | | | | | | |
| ველეს სარსფილდი (არგენტინა) | 2 | 2 | 0 | 0 | 2:0 | 6 |
| ბოკა ხუნიორსი (არგენტინა) | 3 | 1 | 0 | 2 | 4:4 | 3 |
| სერო პორტენო (პარაგვაი) | 2 | 1 | 0 | 1 | 3:4 | 3 |
| ფლამენგო (ბრაზილია) | 3 | 1 | 0 | 2 | 2:3 | 3 |
| **E ჯგუფი** | | | | | | |
| გრემიო 5:1 უნივერსიდად კატოლიკა | | | | | | |
| რივერ პლეიტი (არგენტინა) | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 4 |
| ვასკუ და გამა (ბრაზილია) | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| გრემიო (ბრაზილია) | 3 | 1 | 0 | 2 | 7:5 | 3 |
| უნივერსიდად კატოლიკა (ჩილე) | 3 | 0 | 2 | 1 | 3:7 | 2 |

# საქართველოს ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელი, მწვრთნელი, სიმბოლური ნაკრები სარბიელის მკითხველთა აზრით

ჩვენში ფეხბურთს გასული საუკუნის მიწურულიდან ანუ აგერ უკვე ერთი საუკუნეა თამაშობენ. ამ ხნის მანძილზე ბევრ დიდოსტატს უგორებია ტყავის ბურთი ფოთსა და თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში, სოხუმსა და ლანჩხუთში, ზუგდიდსა და გორში... ქართულ ფეხბურთს ბევრი ვარსკვლავი ჰყოლია.

„სარბიელის" გამოკითხვის მიზანია, ყველა თაობის გულშემატკივართა აზრთა შეჯამების საფუძველზე საახალწლოდ ქართულ ფეხბურთში რჩეულთაგან გამორჩეულები გამოავლინოს!

„სარბიელის" გამოკითხვაში ნებისმიერ მსურველს შეუძლია მონაწილეობა. ამისთვის უნდა შეავსოთ და გაზეთიდან ამოჭრილი ანკეტები (ან „სარბიელში" მოცემული ანკეტის ანალოგიურად შევსებული ჩვეულებრივი თეთრი ფურცელი: რვეულის, თაბახისა...) საფოსტო კონვერტში ჩადებული გამოგვიგზავნოთ რედაქციაში. გთხოვთ, ანკეტის შევსებისას მიუთითოთ სახელი, გვარი, სადაურობა (სად ცხოვრობთ), ასაკი, პროფესია. ყოველივე ეს „სარბიელში" დაიბეჭდება, თითოეულ მკითხველს საშუალება ექნება საკუთარი ვერსიაც იხილოს გაზეთში და საერთო სურათსაც უშუალოდ ადევნოს თვალი.

საუკეთესო ფეხბურთელის გამოსავლენად უნდა დასახელდეს ხუთი კანდიდატი, რომელთაც ადგილების მიხედვით შესაბამისად 5, 4, 3, 2 და 1 ქულა დაერიცხებათ. საუკეთესო ქულების საერთო ჯამით გამოვლინდება.

იგივე პრინციპით დასახელდება № 1 მწვრთნელიც. მაგრამ ამ შემთხვევაში გამოკითხვის თითოეული მონაწილე მხოლოდ სამ კანდიდატს ასახელებს (ქულებიც შესაბამისად 3, 2 და 1 იქნება).

ნაკრების შესადგენად კი ყველა ანკეტაში 11 ფეხბურთელი უნდა დასახელდეს 1+4+3+3 პირობითი სქემით. სიმბოლური გუნდის საბოლოო ვარიანტი ფეხბურთელთა მიერ მიღებული ხმების რაოდენობით განისაზღვრება.

**„სარბიელის" რედაქციის მისამართი: თბილისი 77, ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.**

**საფოსტო მისამართი: თბილისი 79, საფოსტო ყუთი 208.**

✂ - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - -

**საქართველოს ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელი**

1 ____________________

2 ____________________

3 ____________________

4 ____________________

5 ____________________

**საქართველოს ყველა დროის საუკეთესო მწვრთნელი**

1 ____________________

2 ____________________

3 ____________________

**საქართველოს ყველა დროის სიმბოლური ნაკრები**

1 ____________________

2 ____________________

3 ____________________

4 ____________________

5 ____________________

6 ____________________

7 ____________________

8 ____________________

9 ____________________

10 ____________________

11 ____________________

სახელი - - - - - - - - - - - - - - -

გვარი - - - - - - - - - - - - - - -

ასაკი - - - - - - - - - - - - - - -

პროფესია - - - - - - - - - - - - - - -

მისამართი - - - - - - - - - - - - - - -

## ფეხბურთის რუკასთან



**ახალზელანდიელი** უინტონ რუფერი XX საუკუნის ოკეანეთის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელებს. ექსპერტებმა და ჟურნალისტებმა რუფერი 1989 წლიდან 95-მდე გერმანულ ბრემენის „ვერდერში" თამაშობდა. ამ ხნის განმავლობაში მის შემადგენლობაში 174 თამაში ჩაატარა და 59 გოლიც გაიტანა. ახალზელანდიელს 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზეც მიუღია მონაწილეობა. მეორე ადგილზე ავსტრალიელი ფრენკი ფარინა გავიდა, თუმცა ფარინას აქტიური სპორტისთვის თავი არ დაუნებებია და აქედან გამომდინარე პირველზე გასვლის შანსიც აქვს.

**გერმანული მეორე ბუნდესლიგის „არმინიამ" თავკაცი ერნსტ მიდენდორფი რომ დაითხოვა, უკვე გაცნობეთ, მიზეზი წარუმატებელი სტარტი იყო. ახლა კი ახალი თავკაცის ვინაობაც გაირკვა. იგი მიდენდორფის თანაშემწე თომას ფონ ჰასენი იქნება. 36 წლის მწვრთნელთან კლუბს სეზონის ბოლომდე უხელმძღვანელებს. ფონ ჰასენი ადრე საკმაოდ კარგ ფეხბურთელად ითვლებოდა და „ჰამბურგისა" და არმინიას" შემადგენლობაში 378 ბუნდესლიგური მატჩიც მიუთვლია.**

**გერმანიის** ნაკრებისა და პრემიერლიგური „ნიუკასლის" ნახევარმცველი დიტმარ ჰამანი მძიმედ დაშავდა. ტრავმა ფეხბურთელმა ბოლო ტურში „ლივერპულთან" მატჩში მიიღო, როდესაც სტივ მაკმანამანს შეეჯახა. ახლა ჰამანს გარკვეული დროით იძულებითი დასვენება მოუწევს და ბუნებრივია ვერც ნაკრებს დაეხმარებოდა გუშინ მალტასთან და შაბათს რუმინეთთან. ჰამანი ახლა სამშობლოშია და ყოფილი კლუბის მიუნხენის „ბაიერნის" ექიმის ჰანს-ვილჰელმ მიულერ-ვოლფარტის მეთვალყურეობის ქვეშ მკურნალობს. ექიმის თქმით, ჰამანს რამოდენიმე კვირით მოუწევს დასვენება.

**შვეიცარიის ქალაქ ციურიხში, ფიფას მორიგ სხდომაზე, ორგანიზაციის პრეზიდენტმა ზეპ ბლატერმა განაცხადა, მოსალოდნელია, იანვარში დაგეგმილი კონფედერაციათა თასის გათამაშების თარიღები შეიცვალოსო. რვა გუნდიანი საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მსოფლიოს ჩემპიონი საფრანგეთი და ფინალისტი ბრაზილიაც მონაწილეობენ, ზუსტად იმ დროს ტარდება, როცა იტალიაში, ესპანეთში, ინგლისსა და სხვა მძლავრ საფეხბურთო ქვეყნებში ეროვნული ჩემპიონატების შუაწელი ახლოვდება. კლუბებს, ცხადია არ სურთ, ლეგიონერები ნაკრებში გაუშვან. კონფედერაციის თასის გათამაშების ვადების შეცვლასაც სწორედ ამიტომ აპირებენ. ყველაფერი 24-25 სექტემბერს დადგინდება, როცა ფიფას მორიგი ყრილობა გაიმართება.**

**ნიგერიელმა** თავდამსხმელმა ეფან ეკოკუმ კლუბის ხელმძღვანელობას თხოვნით მიმართა, ტრანსფერზე დამაყენეთო, ლონდონის „უიმბლდონის" ფორვარდმა, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატზე არ წაიყვანეს, მოითხოვა ან ჯამაგირი მოემატებინათ, ან კლუბიდან გაეშვათ. „მე ვთხოვე სემ ჰემამს (უიმბლდონის მფლობელია) ჩემი კონტრაქტი გაეუქმებინა და სხვა კლუბში გავეშვი, მაგრამ ჯერ მას საბოლოოდ არაფერი გადაუწყვეტია. 30 წლის ვარ და მტკიცედ გადავწყვიტე — ჩემი დონის ფეხბურთელი უფრო ძლიერ გუნდში უნდა თამაშობდეს. მეც იმედი მაქვს, რომ სხვაგან გადავალ" — ეკოკუს, როგორც ჩანს, გუნდის გამოცვლა სერიოზულად გადაუწყვეტია. სხვათა შორის, იგი პრემიერლიგაში (არ იგულისხმება პრემიერლიგამდელი ინგლისის ჩემპიონატები) მობურთალი ერთადერთი ფეხბურთელია, რომელსაც ერთ შეხვედრაში ოთხი გოლის შეგდება მოახერხა. მსგავსი რამ ჯერ არავის გაუმეორებია.

# სარბიელი
## სპორტული ლატარია "CROCO"

### ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი.

| | | | |
|---|---|---|---|
| 5 სექტემბერი | | | |
| ბირმინგემი — ბერი | 1,35 | 3,6 | 7,5 |
| ჰადერსფილდი — შეფილდ იუნ. | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| ქპრ — ბარნსლი | 2,1 | 3,0 | 3,1 |
| სტოკპორტი — გრიმსბი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| სვინდონი — ბრისტოლი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 6 სექტემბერი | | | |
| ოქსფორდი — პორტსმუთი | 1,9 | 2,9 | 3,6 |

### ჰოლანდიის ჩემპიონატი

| | | | |
|---|---|---|---|
| 5 სექტემბერი | | | |
| გრააფსხაპი — ვალვაიკი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| სპარტა — როდა | 1,7 | 3,1 | 4,4 |

### ბელგიის ჩემპიონატი. IV ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 5 სექტემბერი | | | |
| ეკერენი — სტ. ტრუიდენი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| გენტი — აალსტი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| გენკი — სტანდარდი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| შარლერუა — ლიერსი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| ბევერენი —ლოკერენი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| მუსკრონი — ჰარელბეკი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ვესტერლო — ანდერლეხტი | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| 6 სექტემბერი | | | |
| ბრიუგე — ლომელი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| კორტრაიკი — ოსტენდე | 2,5 | 2,9 | 2,5 |

### ამხანაგური მატჩი

| | | | |
|---|---|---|---|
| 5 სექტემბერი | | | |
| გერმანია — რუმინეთი (მალტაში) | 1,8 | 3,0 | 4,0 |

### ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები

| | | | |
|---|---|---|---|
| 5 სექტემბერი | | | |
| უელსი — იტალია | 7,0 | 3,5 | 1,4 |
| ბელარუსი — დანია | 6,0 | 3,3 | 1,5 |
| საქართველო — ალბანეთი | ანგარიში — 5,0 | | |
| ფინეთი — მოლდოვა | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| თურქეთი — ჩრდ. ირლანდია | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| სომხეთი — ანდორა | 1,02 | 10,0 | 17,0 |
| 0:3 | 1,25 | 5,0 | 4,7 |
| უკრაინა — რუსეთი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| ისლანდია — საფრანგეთი | 8,0 | 4,4 | 1,25 |
| შვედეთი — ინგლისი | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| ავსტრია — ისრაელი | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| კვიპროსი — ესპანეთი | 9,0 | 5,0 | 1,2 |
| სლოვაკეთი — აზერბაიჯანი | 1,05 | 8,0 | 14,0 |
| 0:3 | 2,0 | 3,6 | 2,0 |
| ირლანდია — ხორვატია | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| ბოსნია — ესტონეთი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| ლიტვა — შოტლანდია | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| 6 სექტემბერი | | | |
| საბერძნეთი — სლოვენია | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,4 | 3,5 | 4,2 |
| ნორვეგია — ლატვია | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 0:2 | 1,6 | 3,0 | 4,0 |
| ბულგარეთი — პოლონეთი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| უნგრეთი — პორტუგალია | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| მაკედონია — მალტა | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 0:2 | 1,5 | 3,2 | 4,0 |
| ფარერები — ჩეხეთი | 10,0 | 5,6 | 1,15 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია B. I ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 5 სექტემბერი | | | |
| კრემონეზე — ტორინო | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 6 სექტემბერი | | | |
| ატალანტა — ჯენოა | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ბრეშა — ჩეზენა | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| ლეჩე — რეჯინა | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| მონცა — ლუკეზე | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| ნაპოლი — კოზენცა | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| რავენა — ფ. ანდრია | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| ტერნანა — რეჯანა | 1,9 | 2,7 | 4,0 |
| ტრევიზო — კიევო | 1,9 | 2,7 | 4,0 |
| ვერონა — პესკარა | 1,5 | 3,3 | 6,0 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.



მოია (მარცხნივ) აკოჭლებულ პუერტას ეხმარება

# რიტმში არითმიის შემდეგ

## US OPEN

ამერიკის ღია ჩემპიონატში მესამე დღემ პირველი დიდი სენსაციაც მოიტანა — სეზონის პირველი დიდი სლემის ტურნირის გამარჯვებული პეტერ კორდა სეზონის უკანასკნელში პირველივე წრეში გამოეთიშა ასპარეზობას.

თავიდან 30 წლის ჩეხს საგანგაშო თითქოს არაფერი ელოდა — ასაკით თავის თანატოლ გერმანელ ბერნდ კარბახერს იგი პირველ სეტში იოლად გაუსწორდა და მეორეში 2:0 დაწინაურდა. მაგრამ იოლი გამარჯვების ნაცვლად კორდას მოულოდნელად ყველაფერი აერია, საკუთარი მოწოდება დაკარგა და თამაშის სადავეებიც ხელიდან გამოეცალა. „ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ერთმა ცუდად ჩატარებულმა გეიმმა დამღუპა. იქიდან მოყოლებული იგი უკეთ ათამაშდა, მე კი ყველაფრის აცილება დავიწყე" — ასე განმარტა მომხდარი ჩეხმა, თუმცა კარბახერს ამის შესახებ საკუთარი ვერსია გააჩნდა: „პირველი სეტის შემდეგ საკუთარ თავს ვუთხარი, თუ კვლავ ასე შეშინებული გავირჯები, განადგურება გელის-მეთქი და უფრო აგრესიულად დავიწყე თამაში, რამაც შედეგი გამოიღო."

შედეგი კი მართლაც განსაცვიფრებელი გამოდგა — ამის შემდეგ კორდამ ითხი გეიმის მოგებაღა მოახერხა, მატჩი კი გერმანელის სასარგებლოდ — 2:6, 6:3, 6:2, 6:1 დასრულდა. ჩეხი პრესკონფერენციაზე დამწუხრებულზე მეტად გაოცებული ჩანდა, თავადაც არ ვიცი, ეს ფიასკო რას დავაბრალო, არც მაინცდამაინც გადაღლილი ვარ და არც ტრავმა მაწუხებს, თუმცა ბოლოს და ბოლოს ძაღლის თავი ოჯახთან ხანგრძლივ განშორებაში მოიძია: „28 ივლისს მეორე ქალიშვილი შემეძინა, მე კი ხუთი დღის შემდეგ ტურნირების სათამაშოდ დავიძარი და მას აქეთ აღარც მინახავს, მთელი ოჯახი ძალიან მენატრება. ერთადერთ გამოსავალს იმაში ვხედავ, რომ გარკვეული ხნით ჩოგბურთიდან დავისვენო, ოჯახს მივხედო და ფსიქოლოგიური ენერგია აღვიდგინო, რაც ამჟამად ძლიერ მაკლია."

რაც შეეხება კორდას მძლევ კარბახერს, რამდენიმე თვის წინ მსგავს წარმატებაზე კი არა, დიდი სლემის ტურნირზე მის ასპარეზობაზეც კი ვერავინ დადებდა თავს — გერმანელს, რომელიც 1994 წელს „ოუფენის" მეოთხედფინალისტი გახლდათ, შარშან გულის არითმია დაუდგინეს და ნახევარი წლის განმავლობაში ჩოგანთან გაკარებაც კი აუკრძალეს. „ამხელა შესვენების შემდეგ დაბრუნება ძალიან ძნელი გამოდგა. მე კი მეგონა, ისე ვითამაშებდი, თითქოს არაფერი მომხდარიყოს, რაც დიდი შეცდომა იყო. ცუდმა შედეგებმა ხომ კინაღამ პენსიაზე გასვლა გადამაწყვეტინა." კარბახერს მალე მეორეხარისხოვან ტურნირებზე მოუხდა ასპარეზობა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, წლის ბოლოს კი კლასიფიკაციაში 244-ე ადგილზე აღმოჩნდა. „ჩელენჯერებზე გამოსვლა ნამდვილი ტანჯვა იყო ჩემთვის, ასე რომ, გადავწყვიტე, დიდი ტურნირების საკვალიფიკაციო შეჯიბრებზე მეასპარეზა და, როგორც ხედავთ, ამ ტაქტიკამ გაამართლა." გერმანელი ძირითად ბადეში მხოლოდ სამი შეხვედრის მოგების შემდეგ მოხვდა, თუმცა პირველივე წრეში ამხელა სკალპის მოპოვებამ დახარჯული ენერგია ერთი-ათად აუნაზღაურა — ამით ხომ მას საუკეთესოთა ასეულში დაბრუნების შესანიშნავი შანსი მიეცა.

ავსტრალიის ღია პირველობის ფინალში კორდასთან დამარცხებულ მარსელო რიოსს ბევრი პირველივე წრეში გავარდნას უწინასწარმეტყველებდა — ჩილელმა ზაფხულის ჰარდის სეზონი საშინელი შედეგით (ერთი მოგება და სამი მარცხი) დაასრულა, თან ცინცინატში სწორედ მის ამჟამინდელ მეტოქე, ჩეხ დანიელ ვაცეკთან წააგო. თუმცა დიდი სლემის ტურნირი მაინც დამატებით სტიმულს იძლევა და კიკინიანმა სამხრეთამერიკელმაც პიტ·სამპრასისთვის პირველობის წასართმევად გამიზნული მორიგი კამპანია იოლი შურისძიებით — 6:4, 6:2, 6:3 დაიწყო. „ბოლო ხანებში ძალიან ცუდად ვთამაშობდი, როგორც მაგალითად წინა კვირაში (ჰამლეტის თასზე პირველ წრეში წააგო), ჩოგბურთისგან ნაკლებ სიამოვნებასაც ვიღებდი, მაგრამ ამ ტურნირს განახლებული ენერგიით შევხვდი. შევეცდები, კარგად ვიასპარეზო და კლასიფიკაციაში პირველ ადგილზეც გადავიდე."

როლან გაროსის ჩემპიონ კარლოს მოიას (10) უსახელო არგენტინელ მარიანო პუერტასთან პირველი ხელის იოლად მოგების შემდეგ ფრიად გაუჭირდა და კაცმა არ იცის, შეხვედრა როგორ დასრულდებოდა, მის მეტოქეს დაღლილობისგან ფეხის კრუნჩხვები რომ არ დასწყებოდა, ანგარიში იმ დროისთვის 6:1, 7:6 (7:4), 6:7 (3:7), 4:4 იყო, მოიას კი ნერვების დაწყვეტის ნაცვლად ისღა დარჩა, დაკოჭლებულ მეტოქეს კორტიდან გასვლაში დახმარებოდა და ფილანთროპული საქციელისთვის მაყურებლისგან ოვაციები მიეღო.

როლან გაროსის ფინალისტს, მოიას თანამემამულე ალექს კორეტხასაც (7) არ დასცალდა მატჩის ბოლომდე მიყვანა, რაშიც ნიუ იორკს თავს დამტყდარმა თავსხმა წვიმამ შეუშალა ხელი, თანაც მაშინ, როცა დიდ გასაჭირში იყო — იგი 33 წლის იტალიელ ჯანლუკა პოცისთან 2:6, 6:3, 2:5-ს აგებდა.

წვიმამ ქალებს შორის მეორე წრის ყველაზე საინტერესო მატჩის ჩატარებასაც შეუშალა ხელი — შარშანდელი საფრანგეთის ღია პირველობის ფაინალისტებმა — მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა მარტინა ჰინგისმა და ხორვატმა ივა მაიოლიმ მხოლოდ მოთელვის დასრულება მოასწრეს, მერე კი კორტიდან თავქუდმოგლეჯილნი გაიქცნენ და თავს უშველეს.

დღის პირველ მატჩში კი მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა — შტეფი გრაფმა იოლი გასეირნება მოიწყო. 18 წლის თანამემამულე მარლინ ვაინგარტნერთან შეხვედრა „ფროილაინ ფორჰენდს" მხოლოდ 41 წუთი გაუგრძელდა — 6:0, 6:1, უიღბლო სპარინგ-პარტნიორით დაუკმაყოფილებელს მატჩის შემდეგ ერთი საათი დამატებით ვარჯიშიც მოუხდა — მომდევნო მეტოქესთან, ხორვატ მირიანა ლუჩიჩთან შესახვედრად შტეფი გაცილებით სერიოზულად ემზადება. „დიდი ხანია, ასე იოლად არ მომიგია, თუმცა მაინცდამაინც არც გამხარებია. კარგ ხასიათზე მაშინ დავდგებოდი, ძალიან ძლიერად რომ მეთამაშა. როდესაც მეტოქე წინააღმდეგობას არ გიწევს, გაცილებით ნაკლებ სიამოვნებას ღებულობ."

**ირაკლი ხმელიძე**

### კაცები

პირველი წრე: ევგენი კაფელნიკოვი (11, რუსეთი) — ჲენის ვან შეპინგენი (ჰოლანდია) 6:1, 6:2, 6:4; ტიმ ჰენმანი (13, ინგლისი) — სკოტ დრეიპერი (ავსტრალია) 6:3, 7:6 (7:4), 7:6 (7:3); მაიკლ ჩანგი (აშშ) — ეიალ ერლიხი (ისრაელი) 6:1, 6:3, 6:1; ტომი ჰაასი (გერმანია) — ხორდი ბურილიო (ესპანეთი) 6:3, 7:5, 6:4; ფელიქს მანტია (ესპანეთი) — ბრეტ სტივენი (ახალი ზელანდია) 6:3, 3:6, 6:4, 7:5; ფრანსისკო კლავეტი (ესპანეთი) — ანდრეი პაველი (რუმინეთი) 6:7 (10:12), 6:4, 7:5, 6:2; ნიკოლას კიფერი (გერმანია) — ლიონელ რუ (საფრანგეთი) 6:4, 6:3, 6:1; ლუკას არნოლდი (არგენტინა) — კენეტ კარლსენი (დანია) 7:6 (7:0), 6:4, 4:6, 6:1; ანდრეი მედვედევი (უკრაინა) — იონ ვან ლოტუმი (ბელგია) 6:4, 7:5, 6:2; ჯეფ გრანტი (აშშ) — ხავიერ სანჩესი (ესპანეთი) 6:2, 7:5, 4:6, 6:3; ჟან-ბატისტ პერლანი (საფრანგეთი) — ჯეისონ სტოლტენბერგი (ავსტრალია) 1:6, 7:5, 6:3, 6:3.

### ქალები

მეორე წრე: იანა ნოვოტნა (3, ჩეხეთი) — ამელი კოშტო (საფრანგეთი) 6:2, 7:6 (7:1); ირინა სპირლეა (9, რუმინეთი) — მირიამ შნიცერი (გერმანია) 6:3, 6:2; პატი შნიდერი (11, შვეიცარია) — ობრი რიპნერი (აშშ) 6:1, 6:2; დომინიკ ვან რუსტი (14, ბელგია) — მაგდალენა გრჟიბოვსკა (პოლონეთი) 6:0, 6:0; გალა ლეონ გარსია (ესპანეთი) — აი სუგიამა (16, იაპონია) 2:3 (ტრავმა); სერენა უილიამსი (აშშ) — პავლინა სტოიანოვა (ბულგარეთი) 6:2, 6:1; მირიანა ლუჩიჩი (ხორვატია) — ნაოკო სავამაცუ (აიპონია) 4:6, 6:1, 6:1; ენ მილერი (აშშ) — ევგენია კულიკოვსკაია (რუსეთი) 6:1, 4:6, 6:2; ნატალი დეში (საფრანგეთი) — სუნგ-ჰე პარკი (კორეა) 6:2, 6:4; სანდრინ ტესტიუ (საფრანგეთი) — კვეტა ჰრდლიჩკოვა (სლოვაკეთი) 7:6 (7:5), 6:3; ამელი მორესმო (საფრანგეთი) — მიჰო საეკო (იაპონია) 6:4, 6:1; კიმბერლი პო (აშშ) — ლორა გრინვილი (აშშ) 6:3, 6:3.



# გადაფრენა



საქართველოს მთამსვლელთა მეორე ჰიმალაის ექსპედიციის წევრები დილაადრიან ნეპალის სამეფოს დედაქალაქ კატმანდუდან შვეულმფრენებით დასავლეთისკენ, გორკჰთა სათავადოსკენ გაფრინდნენ.

კატმანდუდან მთაში, აღმოსავლეთისა თუ დასავლეთისკენ თვითმფრინავები მხოლოდ დილაადრიან მიფრინავენ, ვიდრე ბუნება გამოფხიზლდება, ღრუბლები აიჯაგრება და თვალშეუდგამი მწვერვალები თავს ქარაშოტს დაიტეხავენ. საკმარისია ჰიმალაის მთებში თვითმფრინავსა თუ შვეულმფრენს გზად ღრუბლები შემოეყაროს, რომ უმალ პირს იბრუნებს და კუდამომძუებული დაბრუნდება. ამ ბუმბერაზთა შორის ბუმბერაზი მწვერვალებისკენ მარტო ფრენა თითქოს ეშინიათო, თვითმფრინავები წყვილად იღებენ გეზს მთებისკენ და იქიდანაც ასევე ბრუნდებიან.

ასეა თუ ისე, ჩვენს მთამსვლელებს აფრენიდან სულ მალე უკან დარჩათ კატმანდუს აეროპორტი, ამწვანებული მთა-გორაკები, მათ შორის ჩაწოლილი მსუბუქი ნისლი და გარინდებული ბუნება, რომელიც გამოღვიძებას არ ჩქარობდა. მთამსვლელებმა რიგიანად ვერც მოასწრეს ზემოდან იმ იდილიური ბუნებით ტკბობა, ისე სწრაფად გამოჩნდა ჰიმალაის გადაჯაჭვული ბუმბერაზი მწვერვალები. სულ რაღაც ხუთიოდე წუთის მერე ისინი ცენტრალური ჰიმალაის მთაგრეხილის პარალელურად მიფრინავდნენ. საოცრად ლურჯი ცის კაბადონზე ერთი ნაფლეთი ღრუბელიც არ ჩანდა. ბრდღვიალა მზის სხივებში მობანავე მწვერვალები თვალისმომჭრელად ელვარებდნენ.

პირველი ცნობილი მწვერვალი, რომელიც ჩვენმა მთამსვლელებმა ლამის აფრენისთანავე დაინახეს, ლენგტანგ ლირუენი (7246 მ.) იყო. მისგან ჩრდილო-აღმოსავლეთით თვალი მიაწვდინეს შიშა პანგმას, რომელიც დიდხანს „რვაათასიანებში" ყველაზე ტანმორჩილად მიაჩნდათ, მაგრამ კიდევ ერთხელ რომ გაზომეს, 33 მეტრი წაუმატეს, სიმაღლეში 8046 მეტრამდე „გაზარდეს" და ბოლოდან მეორე ადგილზე მიუჩინეს ადგილი.

შიშა პანგმა თანამოძმე „რვაათასიანი" მწვერვალებისგან საკმაოდ დაშორებულია და განმარტოებით დგას. მის ირგვლივ მხოლოდ „ექვსიათასიანებია" შემოჯარული და ამიტომ შიშა პანგმა, ეს ისედაც გოლიათი მწვერვალი, მათ ამაყად გადმოჰყურებს.

ამ მწვერვალს, რომელსაც გოსიანტანსაც უწოდებენ, კარგად იცნობს ორი ქართველი მთამსვლელი და ორივენი აზლანდელი მანასლუს ექსპედიციის წევრები, თბილისელი გია თორთლაძე და ქუთაისელი მერაბ ნემსიწვერიძე არიან. ისინი 1992 წლის შემოდგომაზე ალპინიზმისა და მეკლდეურობის ევრაზიის ასოციაციის გუნდის წევრებთან ერთად, რომელიც ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების წარმომადგენლებით დაკომპლექტდა, ავიდნენ შიშა პანგმაზე.

მაგრამ შიშა პანგმაცა და ლენგტანგ ლირუენიც მალე მიეფარა თვალს და „კადრში" უამრავი „ექვსიათასიანი" და „შვიდიათასიანი" მწვერვალი გამოჩნდა, რაკიდა ჰიმალაიზე მანასლუმდე სხვა „რვაათასიანი" პიკი არ არსებობს.

„ჰიმალაი" ჰინდურ ენაზე თოვლის სამეფოს ნიშნავს. აქ მართლაც თოვლის სამეფოა — გრანდიოზული ჰიმალაის საერთო სიგრძე 2400 კილომეტრია, ხოლო სიგანე, ალაგ-ალაგ 350 კილომეტრს აღწევს.

„ჰიმალაი იწყება იქ, სადაც მთავრდება დანარჩენი მთები". არ ვიცი, ვინ თქვა ეს სიტყვები, მაგრამ ზუსტად და მოხდენილად კია ნათქვამი: დედამიწის იმ 14 მწვერვალიდან, რომლებიც 8000 მეტრზე მეტი სიმაღლისაა, 10 სწორედ ჰიმალაიზეა თავმოყრილი. აქედან 9 ნეპალის ტერიტორიაზეა.

გაივლის წლები, საუკუნეები და მომავალი თაობა კიდევ ერთხელ აზომავს ამ მწვერვალებს. შესაძლოა, მან აღმოაჩინოს, რომ „რვაათასიანი" პიკები მომრავლებულან, „ძველები" კი გაზრდილან. მეცნიერები ირწმუნებიან, რომ ჰიმალაის მწვერვალები თანდათან იზრდებიან, რადგან გიგანტური კონტინენტალური პლატფორმა ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ მოიწევს. ვარაუდობენ, რომ გამყინვარების პერიოდის შემდეგ ჰიმალაი 1200-1500 მეტრით გაიზარდა სიმაღლეში, ეს კი წელიწადში 9-10 სანტიმეტრის მომატებას ნიშნავს, ოღონდ მწვერვალები ხან ანელებენ ზრდას, ხანაც ერთბაშად იყრიან ტანს.

მომაჯადოებელი ჰიმალაის მწვერვალებით, მათი ზღაპრული სანახაობით ტკბობა მთამსვლელებთან ერთად სხვებსაც შეუძლიათ. ამისთვის საჭიროა სპეციალური ტურისტული 54-ადგილიანი თვითმფრინავით ორი საათის განმავლობაში ისეირნონ ჰიმალაის თავზე და უდიდეს მწვერვალებსაც გარსშემოუფრინოთ; შეგიძლიათ კატმანდუდან დედამიწის უმაღლეს მწვერვალ ჯომოლუნგმასკენ (8848 მ) მდებარე მაღალმთიან სოფელ ლუკლაში ან ნამჩე-ბაზარში (3450 მ) აფრინდეთ და გზად 20-მდე მეტ-ნაკლებად ცნობილი მწვერვალი 45 წუთის განმავლობაში ათვალიეროთ, რაც უდიდესი შთაბეჭდილებებით აღგავსებთ.

სხვათა შორის ნამჩე ბაზარში, ჯომოლუნგმას ეროვნული პარკის მუზეუმში ვნახეთ ჰიმალაის ვეებერთელა ფერადი ფოტოსურათი, რომელიც საბჭოთა კოსმონავტებმა 1975 წელს კოსმოსიდან გადაიღეს. სურათზე მთელი ნეპალი ისე ჩანდა, როგორც ფიზიკურ რუკაზე. საოცარი ფერები იყო. ნარინჯისფერი სჭარბობდა. სამხრეთით თანდათან მწვანდებოდა, ხოლო მწვერვალები ლაქებად მოჩანდა, როგორც ნარინჯისფერზე დაღვენთილი თეთრი სითხე.

მაგრამ მანამ ყოველივე ამას გიამბობდით, ილუმინატორში გამოჩნდა ჩვენი მთამსვლელების მიზანი მანასლუ, რომელთანაც ამ ექსპედიციის წევრთაგან გია თორთლაძეს აქვს ნაცნობობა. მერე მანასლუც თვალს მიეფარა და შვეულმფრენები სახელგანთქმულ გორკჰთა სათავადოში დაჯდნენ.

**ავთანდილ გურასაშვილი**

**ავტორის ფოტო**



მშვილდოსნობა

# ხათუნა საქართველოსთვის ისვრის



შორეული ამერიკიდან ხათუნა ქვრივიშვილის თაობაზე ბოლო ხანებში ურთიერთგამომრიცხავი ცნობები მოგვდიოდა. ამიტომაც იყო, ჩვენს გაზეთებში ხან რა იწერებოდა, ხან რა. მშვილდოსანთა საერთაშორისო ფედერაციიდან გამოგზავნილმა რეიტინგმა, რომელშიც გვარშეცვლილი და ლუნგად წოდებული ხათუნა ქვრივიშვილი ამერიკელად მოიხსენიება, ცეცხლზე ნავთი დაასხა. გასარკვევად გუშინ ხათუნას ამერიკაში შევეხმიანეთ და ეს სატელეფონო ინტერვიუც შედგა:

**— ხათუნა, გავიგეთ, რომ ამერიკის ნაკრების წევრობა გსურთ, მაგრამ ჯერჯერობით ამას ვერ ახერხებთ. მოდით, საუბარიც ამით დავიწყოთ.**

— თავდაპირველად ამაზე მართლაც იყო ლაპარაკი, მაგრამ ამჟამად ისეა საქმე, ამერიკის სახელით მე თვითონ არ მინდა გამოსვლა. მიზეზი ისაა, რომ მათგან ოლიმპიადაზე გამოსვლის გარანტია არაა. ამჟამად ყველა შეჯიბრებაზე შემიძლია შეერთებული შტატების სახელით ასპარეზობა, გარდა ოლიმპიადისა, რადგან ამ ქვეყნის პასპორტი არა მაქვს. ამიტომაც შეიძლება ისე მოხდეს, რომ ქულები ამერიკის სახელით მოვიპოვო, მაგრამ ოლიმპიადაზე გამოსვლის უფლება არ მომცენ და საერთოდ უოლიმპიადოდ დავრჩე, რაც ჩემთვის ძალიან საწყენი იქნება. აი, ამ მიზეზების გამო არ მინდა ამერიკის სახელით ასპარეზობა. მართალია, აქაურ მწვრთნელთა ერთი ნაწილი დაინტერესებულია ჩემი ნაკრებში ჩარიცხვით, მაგრამ ამ საქმეს მოწინააღმდეგენიც ჰყავს. მათ შორისაა ქვეყნის მშვილდოსნობის ფედერაციის პრეზიდენტიც. ამ კაცს რომ შევხვდი, მითხრა, მართალია, საქართველოს მხარემ კი მოგცა ჩვენი ქვეყნის სახელით ასპარეზობის უფლება, მაგრამ რადგან ამერიკის პასპორტი ჯერ არ გაქვს, ამიტომ ვერც ნაკრებში გამოსვლის უფლებას მოგცემთო. ამისთანა პასუხს რომ გაიგებ, ხომ იტყვი, რატომ უნდა დავკარგო ქულებიო. თუ ქულის მოპოვებაა, საქართველოს სახელით იყოს და საქართველოსავე სახელით გამოვალ.

**— ესე იგი, სიდნეის ოლიმპიადაზე საქართველოს სახელით იასპარეზებთ?**

— ყველაფერი დამოკიდებულია საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტზე. თუ ისინი დამაფინანსებენ, სალიცენზიო ტურნირებზე საქართველოს სახელით გამოსასვლელად, მაშინ სიდნეიშიც საქართველოს სახელით ვიასპარეზებ. ვიმეორებ, საამისოდ აუცილებელია ჩვენებმა დამაფინანსონ სალიცენზიო ტურნირებისთვის. ასეთი კი სამი დიდი შეჯიბრია. არადა, აქ ვარჯიშის ყველანაირი პირობა მაქვს. ამდენად, ეს საკითხი ჯერ კიდევ გადაუწყვეტელია. მე უფრო მგონია, რომ საქართველოს სახელით გამოვალ, რადგან არ ვენდობი ამერიკელებს. ამათ თუ ვუყურე, შეიძლება ოლიმპიადაზე ვერც საქართველოს სახელით გამოვიდე და ვერც ამერიკის, რაც ძალზე გულდასაწყვეტი იქნება.

**— ოლიმპიური კომიტეტი რა პასუხს გაძლევთ?**

— ოლიმპიური კომიტეტი გარანტიას ითხოვს — კარგი შედეგები დაფინანსების სანაცვლოდ. მათ, ბუნებრივია, აინტერესებთ შედეგები, რათა ისე არ მოხდეს, დამაფინანსონ და შედეგი არ იყოს. არადა, ბოლო ორი წელია, ნამდვილად კარგი შედეგები მაქვს, მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული მიზეზების გამო ატლანტაში მთლად კარგად ვერ ვიასპარეზე. რაც მთავარია, დღეს ნორმალური ვარჯიშის ყველანაირი პირობა მაქვს და აღარც ძველებურად მაწუხებს პრობლემები.

**— აშშ-ის ღია ჩემპიონატზე, ამ ცოტა ხნის წინ, რომ გაიმარჯვე, ვისი სახელით იასპარეზეთ?**

— საქართველოს სახელით. არადა, ამას არ ველოდი, რადგან შტატების წინა ჩემპიონატზე ამერიკის სახელით გამოვედი. მაშინდელ ჩემპიონატზე ნიუ ჯერსის სახელით ვისროლე, ოღონდ ის ღია პირველობა არ იყო. წელს ნამდვილად არ ველოდი, საქართველოს სახელით თუ მომიწევდა გამოსვლა. ამის შესახებ წინასწარ არც კი ვიცოდი. სასროლად რომ მივედი, საბუთებში ვნახე, რომ ჩემი გვარის გასწვრივ საქართველო ეწერა. მიზეზი რომ ვიკითხე, საქართველოდან ხარო, მიპასუხეს. საქართველოდან კი ვარ, მაგრამ ამერიკაში ვცხოვრობ-მეთქი, მაგრამ პრეზიდენტმა მაინც უარი მითხრა, ამერიკის პასპორტი არა გაქვსო. ვუთხარი, ძალიან სასიამოვნოა-მეთქი და საქართველოს სახელით ვიასპარეზე.

**— ხათუნა, ჩვენს ფედერაციაში საერთაშორისოდან ოქმები რომ მოვიდა, თქვენ ქვრივიშვილის ნაცვლად სხვა გვარით მოიხსენიებით. გვარი რატომ შეიცვალეთ?**

— ძალიან დიდი ბოდიში, მაგრამ ამაზე არაფრის თქმა არ მინდა. და საერთოდ, ჩემი თხოვნა იქნება, ჩემს პირად ცხოვრებაზე ნურაფერს მკითხავთ.

**— საერთაშორისო დონის შეჯიბრებებზე ამერიკის სახელით გამოდიხართ?**

— არა, საერთაშორისო დონის ტურნირებზე საქართველოს სახელით გამოვდივარ.

**— მოქალაქეობის მიღებამდე ბევრი გიკლიათ?**

— მწვანე ბარათი, ამერიკაში ცხოვრების უფლებას რომ მაძლევს, უკვე მაქვს. პასპორტის აღება 1999 წლის სექტემბერში მიწევს, მაგრამ ის ამბავი მაფიქრებს, რომ ამერიკელები ზუსტ პასუხს ვერ მაძლევენ, ვიქნები თუ არა ამერიკის გუნდში. არც იმის გარანტიაა, ნამდვილად პასპორტს მომცემენ თუ ისევ მწვანე ბარათს. ჩემი საკითხი გადაუწყვეტელია და გაურკვეველ მდგომარეობაში ვარ. ამერიკის სახელით რომც დავიწყო გამოსვლა, შეიძლება მერე კიდევ მიშარონ, რაღაც საბუთი გაკლიაო, რადგან ამერიკელების მხრიდან ვერანაირ მხარდაჭერას ვერ ვგრძნობ. როგორც უკვე გითხარით, მწვრთნელთა ერთ ნაწილს კი სურს ჩემი გადაყვანა, მაგრამ ფედეფრაციის პრეზიდენტს ეს ნამდვილად არ უნდა. მისი პრინციპი ასეთია: ამერიკის ნაკრებში მხოლოდ ამერიკელები! არც სპორტსმენებს სურთ ჩემი გადასვლა, რადგან აქაურებს ყველას ვუგებ და ნაკრებში ადგილის დაკარგვა არავის უნდა. ასე რომ, 1999-ში ჩემზე იქნება დამოკიდებული, საქართველოს პასპორტს ავილებ თუ ამერიკისას.

**— ესე იგი, ამერიკაში უძლიერესი ხართ?**

— დიახ, ამ ქვეყნის რეიტინგში პირველი ვარ.

**— თქვენს ამჟამინდელ მზადყოფნაზე რას იტყვით და განსაკუთრებით მაინტერესებს, რას ფიქრობთ ოლიმპიადაზე?**

— ამჟამად კარგ ფორმაში ვარ. რაც შეეხება ოლიმპიადას, მისი ძალიან დიდი იმედი მაქვს, თუ რამე ფინანსური პრობლემა არ შემექმნა. აქ ძალიან დიდი გადასახადებია შეჯიბრებებში მონაწილეობისთვის და ვნახოთ, საქართველო როგორ დამაფინანსებს. აქ ვარჯიშისა და იარაღის პრობლემა არა მაქვს, რაც საქართველოში გადაუჭრელი პრობლემა იყო.

**— ესე იგი, ამერიკაში სავარჯიშო პირობებს არ უჩივით?**

— სავარჯიშო პირობები უმაღლესი დონისა მაქვს — ვარჯიშისაც, სროლისაც და საეროდ ყველაფრისა. აქ ისეთი პირობებია, რომ მშვენივრად ვმუშაობ საკუთარ თავზე.

**— თქვენს კლუბზეც გვითხარით ცოტა რამ.**

— ვვარჯიშობ ნიუ ჯერსის შტატის ქალაქ პლანდერსში. კლუბის სახელი დაახლოებით ასე ითარგმნება — ზუსტი სროლა. აქ ყველგან საკუთარი კლუბებია და არავინ გასროლინებს უფასოდ. საერთოდ, აქ კლუბების მხრივ სულ სხვანაირი პირობებია.

**— შენს გარდა უცხოელები თუ არიან კლუბში?**

— არა, უცხოელი მხოლოდ მე ვარ.

აქ დასრულდა ჩვენი საუბარი. იმედია, მცირე სიცხადე მაინც შევიტანეთ ამ ჩახლართულ ისტორიაში, თუმცა ზოგი რამ ჩვენთვისაც გაურკვეველი დარჩა. ხათუნას პასუხიდან გამომდინარე, ჩვენი ოლიმპიური კომიტეტის პოზიციამაც დაგვაინტერესა და ამიტომ სეოკ-ის გენერალურ მდივან ემზარ ზენაიშვილსაც შევეხმიანეთ, რომელმაც ასეთი რამ გვითხრა:

— ამერიკელებმა გამოგვიგზავნეს ფაქსი, რომლითაც გვთხოვდნენ, მიგვეცა ხათუნასთვის მათ ნაკრებში გამოსვლის უფლება. რაც შეეხება მის ამჟამინდელ მდგომარეობას ანუ უოლიმპიადოდ დარჩენის საშიშროებას, მას ჩვენთვის ჯერ ასეთი წინადადებით არ მოუმართავს. ჩვენი პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით ასეთია — თუ მოგვმართავს დაფინანსების თხოვნით, ხელს შევუწყობთ მისი დონიდან გამომდინარე.

**ირაკლი თამაძე**


# სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის: სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

**მთავარი რედაქტორი**
ზურაბ ფოცხვერია
**დირექტორი**
გიორგი ოქრომჭედლიძე
**რედაქტორი**
თამაზ მიგრიაული
**მთავარი რედაქტორის მოადგილე:**
ილია ბაბუნაშვილი
**ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი:**
ვახტანგ ბზიკაძე
**ტექნიკური რედაქტორი**
გურამ ხელაშვილი
**კალათბურთის განყოფილების გამგე:**
ავთანდილ გურასაშვილი
**ინფორმაციის განყოფილების გამგე:**
სოსო კოტორეიშვილი

**ფეხბურთის რედაქცია.**
**ქართული ფეხბურთის განყოფილება:**
კონსტანტინე გოგიშვილი, გიორგი ვაშაკიძე, პაატა თოთაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
**უცხოური ფეხბურთის განყოფილება:**
ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი
**კალათბურთის განყოფილება:**
გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი
**ინფორმაციის განყოფილება:**
ავთანდილ სვანიძე, ირაკლი თავაძე, ირაკლი ხმელიძე
**კორესპონდენტი ქუთაისში**
იუზა კაციტაძე
**ფოტორეპორტიორები:**
გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
**სტილისტები:**
მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი
**კომპიუტერული ცენტრი:**
ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

**რედაქციის მისამართი:** თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29


კრივი

# ტაისონს ჭიტლაყს აბრალებენ

საბრალო მაიკ ტაისონი... ერთ დროს უძლეველ მძიმეწონოსან მოკრივეს, 20 წლის ასაკში ყველა შემხვედრს რომ თავყბას უერთიანებდა, საქმეები ისე აერია, ლამისაა მისი სახელი ფულის იოლი გზით შოვნასთან გაიგივდეს.

რკინის მუშტების პატრონს რამდენიმე დღის წინ რომ მცირე საავტომობილო ავარია შეემთხვა, ადრეც გაუწყეთ. მაშინ „მერსედესი", რომელსაც ტაისონის მეუღლე მონიკა ტერნერი მართავდა, შემხვედრ მანქანას შეეჯახა და უმნიშვნელოდ დააზიანა. მომხდარმა მაიკი ისე გაალიზიანა, მანქანიდან ფიცხლად გადმოხტა და მისის ტაისონს რომ არ შეეჩერებინა, ალბათ ავარიის გამომწვევი ავტომობილის მძღოლს კისერს მოუგრეხდა.

დაძაბული ვითარება ამით ამოიწურა. მოჩხუბრებმა ნერვები მალე დაიოკეს, თავთავიანთ მანქანებში ჩასხდნენ და მშვიდად განაგრძეს გზა.

ეს ყოველივე შეჯახებიდან მეორე დღეს მერილენდის შტატის პოლიციის მიერ გავრცელებულ ოფიციალურ ინფორმაციაში ეწერა, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, საქმე სულ სხვაგვარად ყოფილა. არ ვიცით, დიდი თანხის იოლად შოვნის სურვილმა გადასძლია, თუ მართლაც შეურაცხყოფილად იგრძნო თავი — მშრომელთა ეროვნული ურთიერთობების საბჭოს 50 წლის წევრმა რიჩარდ ჰარდიკმა „რკინის მაიკის" წინააღმდეგ საჩივარი დაწერა, რომლის მიხედვითაც ტაისონი ავარიის შემდეგ მეუღლეს სულაც არ შეუჩერებია. პირიქით, გამძინვარებული მოკრივე ჯიქურ მივარდნია და საზარდულის არეში კარგა გვარიანად ჭიტლაყიც ამოუკრავს.

ისე, თუ ჰარდიკი არ ტყუის, წარმოგვიდგენია, საცოდავს რა დღეც დაადგებოდა. შტატის მუნიციპალიტეტში 23 წლის მანძილზე კეთილსინდისიერად მომუშავე რიჩარდი ხომ სულ 160 ფუნტს (72,5 კილოგრამი) იწონის და ვერც განსაკუთრებული სიმაღლით მოიწონებს თავს (167 სანტიმეტრი). ჰოდა, ასეთ ჩია ჭარმაგს 220 ფუნტიანი (99 კილოგრამი) ჯეელის ჭვინტი კარგს რომ არაფერს დამართებდა, ამას თქმა რად უნდა.

— შეჯახების შემდეგ მისტერ ტაისონის სახის დანახვაზე სასწრაფოდ მანქანაში შევბრუნდი, რადგან მისი ამღვრეული თვალები მეუბნებოდნენ, რომ იოლად ვერ გადავრჩებოდი — იხსენებს ჰარდიკი, რომელიც მიუხედავად ამისა, საკუთარი მანქანის მდგომარეობის შესამოწმებლად ავტომობილიდან მაინც გადავიდა — იქ კი ტაისონი ისე უცბად მომვარდა, აზრზეც ვერ მოვედი. მახსოვს მხოლოდ თავის მარწუხებივით მკლავებში მომაქცია და შემდეგ საზარდულში ფეხი ამომარტყა.

ეს რაც შეეხებოდა დაზარალებულის მოსაზრებას, მაგრამ თავისი შეხედულება ხომ ტაისონსაც აქვს? აი ისიც: „არც მუშტი მითავაზებია ვინმესთვის და არც ჭიტლაყი მიმიყოლებია. მე და ჩემი ცოლი მშვიდად მივდიოდით ჩვენი გზით და უბრალო საგზაო ავარიის მსხვერპლი შევიქენით. მე შეძრწუნებული და სრულიად გაოგნებული ვარ იმ ცრუ ბრალდებით, რომელიც მავანმა ჰარდიკმა წამომიყენა."

მოკლედ, ასე იყო თუ ისე, რიჩარდ ჰარდიკმა საჩივრების მთელი დასტა გამოაცხო და ოთხშაბათს მერილენდის სასამართლოშიც აფრინა. შტატის მსაჯულებსაც სხვა რაღა გზა დარჩენოდათ? მათ შემოსული წერილები განიხილეს და საქმეში საფუძვლიანად გარკვევის მიზნით ტაისონი თავისთან დაიბარეს.

მოკრივეს, რომელსაც სასამართლოში გამოცხადების ბოლო ვადა 2 ოქტომბრამდე აქვს, მეორე ხარისხის დანაშაულის ჩადენაში სდებენ ბრალს. ეს კი 2500 დოლარის ოდენობის ფულადი ჯარიმიდან ვირის აბანოში 10 წლით ყურყუტს ითვალისწინებს. ასე რომ, ჭაკადაა ტაისონის საქმე. მან თუ თავი ვერ იმართლა, არაა გამორიცხული, კვლავ ციხეში უკრან თავი. მავანი ჰარდიკი, კი რაკი შუბლის ძარღვი გაიწყვიტა, ალბათ საკმაოდ სოლიდურ თანხასაც გამოჰკრავს ხელს.




**ავთანდილ სვანიძე**

ჭიდაობა

# დარჩიას რეზერვში დარჩენია

უკვე გაუწყეთ, რომ აგვისტოს დამლევს შვედურ ქალაქ გავლეში დამთავრდა მსოფლიოს ჩემპიონატი ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა შორის და ამ ტურნირზე ჩვენებურთა „ნადავლი" ასეთი იყო — არც ერთი მედალი და გუნდური მეცამეტე ადგილი. დაგვეთანხმებით, ვერაფერიშვილი სურათია. თუმცა, ნაკრების მთავარი მწვრთნელი ბეგი დარჩია თვლის, რომ ამისგან ტრაგედია არ უნდა შევქმნათ, რადგან უმედლოდ დარჩნენ დიდი საჭიდაო ტრადიციების მქონე ქვეყნებიც — პოლონეთი, გერმანია, საფრანგეთი და ბელარუსი, რომელმაც ევროპის ბოლო ჩემპიონატზე მეორე ადგილი დაიკავა. ერთადერთი ბრინჯაო ირგუნა უკრაინის ტრადიციულად ძლიერმა ნაკრებმა და ისიც ერთ დროს ჩვენებური დავით სალდაძის წყალობით.

ჩვენებურთაგან ყველაზე უკეთესი შედეგი — მე-4 ადგილი მძიმეწონოსან მირიან გიორგაძისაა, რომლისგანაც ასეთ შედეგს და სხვათა მჯობნობას ახალგაზრდული ასაკისა და გამოუცდელობის გამო ნაკლებად ელოდნენ. არადა, მან მსოფლიოს ვერცხლბრინჯაოს მედლების მფლობელებს დააჯრევინა ფარ-ხმალი. ათეულში მოხვდნენ აგრეთვე ხვიჩა ბიჩინაშვილი (76 კგ. VII), გიორგი ჯინჭველაშვილი (69) და აკაკი ჩაჩუა (63) — ორივე IX ადგილი.

მედლის ყველაზე რეალურ კანდიდატად ევროპის ვიცე-ჩემპიონი ხვიჩა ბიჩინაშვილი ითვლებოდა, ხვიჩამ ექვსი წრის გავლა კი მოახერხა, მაგრამ მე-7 ადგილზე გავიდა. მას თურმე ხელის მცირე ტრავმაც აწუხებდა, თუმცა დარჩია თვლის, რომ უკეთ გამოსვლაც შეეძლო. მწვრთნელის აზრით, მან შარშანდელ მსოფლიოს პირველობასთან შედარებით ოდნავ უარესად იასპარეზა. საერთოდ, ეს წონა თავისი სიძლიერით გამორჩეულიც ყოფილა, რადგან ევროპის ჩემპიონატის შემდეგ მას დაემატნენ ყაზახი ბახთირ ბაისაიტოვი და კუბელი ოლიმპიური ჩემპიონი ფილიბერტო აზუი, რომლებმაც ასეთივე თანმიმდევრობით დაიკავეს პირველ-მეორე ადგილები. ხვიჩაც სწორედ ბაისაიტოვთან და მესამე ადგილზე გასულ თურქ ნაზიმ ავლუკასთან დამარცხებულა. ვერც გიორგი ჯინჭველაშვილს უშველა მსოფლიოს შარშანდელი ჩემპიონის დამარცხებამ და ზედიზედ ხუთი წრის გავლამ.

მწვრთნელმა ქების სიტყვები არ დაიშურა დებიუტანტ გენადი ჩხაიძის (97) მისამართით, რომელმაც 4 შეხვედრა მოიგო და ბოლოს მეორე ადგილზე გასულ ჩეხ მარეკ სვეკთან დამარცხდა, მერე კი ორგზის ოლიმპიურ ჩემპიონ ბრონსკისთანაც წააგო. მწვრთნელსაც სამომავლოდ მისი დიდი იმედი აქვს — თუ მომავალშიც გულიანად გააგრძელებს მუშაობას, მას შეუძლია წარმატებების მიღწევა. საამისო პოტენციალი ნამდვილად გააჩნია — გვითხრა დარჩიამ.

მოგეხსენებათ, საუკუნის მიწურულს სიდნეი ზაფხულის XXVII ოლიმპიურ თამაშებს უმასპინძლებს და ყველა შეჯიბრებაც სწორედ ამ თვალსაზრისით განიხილება. ბეგი დარჩიას საოლიმპიადოდ ერთგვარი რეორგანიზაციაც განუზრახავს და არც „ახალი სისხლის გადასხმის" აუცილებლობა დაუმალავს. „ჩვენ რამდენიმე ვარიანტი გვაქვს საოლიმპიადოდ. თუნდაც წონის შეცვლა. ვფიქრობ, დრო საკმარისია ექსპერიმენტებისთვის — ოლიმპიადამდე ორი წელია" — დაგვაიმედა ბეგი დარჩიამ.

**ირაკლი თამაძე**